პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 217 (9993) | კვირა, 12 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (1-ლი გვერდი).

ფართოდ დავნერგოთ მოწინავე მეხილეთა გამოცდილება.— ჰექტარზე 500 ცენტნერი ვაშლი. სანიმუშოდ მოვაწყოთ ხილის მიღება-გადამუშავება. როგორ უზრუნველვყოთ ხეხილის ყოველწლიური მოსავლიანობა. აღვადგინოთ გორული ატმის ჯიშები. პირობას გავანაღდებთ. აწალი წარმატებებისათვის (მე-2 გვერდი).

ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს (მე-3 გვერდი).

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები სოჭში (მე-3 და მე-4 გვერდი).

წერილი რედაქციას (მე-3 გვერდი).

ფელეტონი. — წურბელები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება მუშაობის ყველა უბანზე

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ჩვენი ხალხის წინაშე დასახული დიდი ამოცანები — სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის მიღწევა და სახალხო მოხმარების სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების გაფართოება მრეწველობის მუშაკებს ძირითად მოთხოვნილებად უყენებს შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდის მიღწევას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და მისი თვითღირებულების შემცირებას. მრეწველობის ცალკეულ საწარმოთა მუშაობის შეფასება ძირითადად ამ საზომებით ხდება—როგორი მაჩვენებლები აქვთ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლაში, ე. ი. გვაძლევენ თუ არა ზეგეგმითს პროდუქციას, როგორია ამ პროდუქციის ხარისხი და შემცირებულია თუ არა მისი თვითღირებულება.

ამ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები თავდადებული პატრიოტული შრომის, დაუღალავი შემოქმედებითი ძიების, გაბედული ნოვატორობის შესანიშნავ ნიმუშებს გვაძლევენ. ყველა საწარმოო პროფესიის ადამიანები არიან ჩაბმულნი დიად შემოქმედებითს მუშაობაში იმისათვის, რომ გამოავლინონ და გამოიყენონ ადგილობრივი რეზერვები, გააუმჯობესონ შრომის მეთოდები, შეიტანონ არსებითი ცვლილებანი ძველ ტექნიკურ ნორმებში, წინ წასწიონ ტექნიკა. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სახელოვანმა მეფოლადეებმა ა. ფანცულაიამ და ი. მეტრეველმა, რომლებიც მარტენის მეორე ღუმელზე მუშაობენ, აგვისტოში მიაღწიეს ფოლადის დნობის ყველაზე შემჭიდროებულ დროს, ხოლო ცნობილია, რომ თვითეული დნობის ხანგრძლივობის შემცირება ზეგეგმითი ფოლადის გამოშვების საუკეთესო რეზერვია.

ტყიბულელმა მეშახტე-რაციონალიზატორმა უ. ხვედელიძემ განახორციელა სამაგრი ხე-ტყის მასალის მექანიზებული ტრანსპორტირება ბაგირის საშუალებით შახტის ქვედა ჰორიზონტებიდან ზედა ჰორიზონტებზე, რითაც მრავალი მზიდავი გაათავისუფლა მოპოვებითს სამუშაოებზე გამოსაყენებლად და შახტს სულ ცოტა 350.000 მანეთის ეკონომია მისცა.

ქუთაისის სამთო მანქანათმშენებელი ქარხნის კონსტრუქტორებმა მოახდინეს საჰაერო საბაგირო გზის ვაგონეტის მოდერნიზაცია, 10 პროცენტით შეამსუბუქეს მისი წონა, 20 პროცენტით შეამცირეს ერთი ვაგონეტის დამზადებაზე გასაწევი შრომა და ამასთან ერთდროულად გააუმჯობესეს ვაგონის სასრიალო ყური, რომ ვაგონეტის ბაგირზე მოძრაობის შეფერხება ნაკლებად არის მოსალოდნელი. ესეც ლითონის ეკონომიისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალი რეზერვია.

ეს მაგალითები მოწმობენ, რომ დღითიდღე იზრდება ჩვენში წარმოების ნოვატორთა, ტექნიკური პროგრესისათვის დაუცხრომელ მებრძოლთა, ახალი საწარმოო მიღწევების მოპოვებისათვის სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა რიგები. ჩვენი მრეწველობის მუშაკებმა მრავალი წლის გამოცდილებით იციან, რომ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომის ახალი მეთოდების გამოყენებას და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას პირდაპირ შედეგად მოსდევს მათი შრომის პირობების გაუმჯობესება, მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლება. ამიტომ არის, რომ ჩვენში შრომის ნოვატორებს, ტექნიკური პროგრესისათვის მებრძოლებს მრავალი მიმდევარი და მხარდამჭერი ჰყავს. ამიტომ არის, რომ სოციალისტური შეჯიბრების მონაწილენი ყოველთვის ცდილობენ თავიანთი დადებითი გამოცდილება საერთო კუთვნილებად აქციონ, მიბაძონ მოწინავეებს, ისწავლონ სხვისგან და ასწავლონ სხვებს მაღალნაყოფიერი შრომის ხერხები, რათა მიღწეულ იქნას საერთო აღმავლობა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რაკი მასები თვითონ არიან დაინტერესებულნი მოწინავე გამოცდილების გავრცელებით, საჭირო აღარ იყოს ამ მხრივ სათანადო მაორგანიზებელი მუშაობა. ასე ფიქრი დიდი შეცდომა იქნებოდა. პირიქით, სწორედ მოწინავე გამოცდილების დანერგვა მოითხოვს საწარმოთა ხელმძღვანელი სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მხრივ დიდ მოფიქრებას, ოპერატიულ ხელმძღვანელობას, ყოველ საწარმოში ისეთი პირობების შექმნას, რომ ყველას ჰქონდეს თავის სამუშაო ადგილზე ამ მოწინავე გამოცდილების დანერგვის საშუალება.

უნდა ითქვას, რომ მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითები ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა ცხოვრებაში მასობრივად ჯერ კიდევ არა გვაქვს. ამას წინათ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მექანიკური სახელოსნოს ხელმძღვანელებმა მოაწყეს ჭიათურელ ლითონდამმუშავებელთა საწარმოო ექსკურსია თბილისის ლითონდასამუშავებელ საწარმოებში. ექსკურსიის ხელმძღვანელი ამხ. ი. კაპანაძე „კომუნისტის“ რედაქციის სწერდა, რომ ჭიათურელი ლითონდამმუშავებლები დიდად კმაყოფილნი დაბრუნდნენ თბილისიდან, იმიტომ რომ დედაქალაქის ნოვატორებთან შეხვედრისას ბევრი რამ ახალი ისწავლეს თავიანთი მუშაობის გასაუმჯობესებლად. ასეთი ექსკურსიების მოწყობა სასარგებლო და მისასალმებელია და ჭიათურელებს ამ მხრივ მიმბაძველები უნდა გამოუჩნდნენ.

თვით ჭიათურაში, ლენინის სახელობის მაღაროში, ნოვატორმა მაღაროელებმა კ. ნადირაძემ და გ. თოდაძემ შეიმუშავეს შპურების ღრმა ბურღვის ახალი მეთოდი, რომლითაც ერთიორად ჩქარდება სანგრევი ხაზის წინ წაწევა, მაშასადამე, მარგანეცის მადნის მოპოვება, იქვე მეზობლად, სტალინისა და ვოროშილოვის სახელობის მაღაროებში, ამ გამოცდილების გადატანას, საერთოდ მოწინავეთა მუშაობის გაუმჯობესებული ხერხების გამოყენებას სათავეში არავინ ჩაუდგა. ამის გამო ორივე ამ მაღაროს კოლექტივები ჩამორჩენილი არიან, გეგმებს ვერ ასრულებენ, შრომის ნაყოფიერება ზრდის ნაცვლად მცირდება, მადნის თვითღირებულება იზრდება. შპურების ღრმა ბურღვის მეთოდი, რასაც ჭიათურაში იყენებენ, საინტერესოა ჩვენი შახტმშენებლებისა და მეშახტეებისათვისაც. მაგრამ არც ტყიბულელ და არც სხვა საშახტო რაიონების პროფმუშაკებს არ მიუღიათ ზომები, რომ გასცნობოდნენ მაღაროელთა ამ მიღწევას, თუმცა სულ მცირე დრო დასჭირდებოდა იმას, რომ ჭიათურაში ჩასულიყვნენ და ეს საქმე გულდასმით შეესწავლათ.

მოწინავე გამოცდილების დანერგვას მუშაობის ყველა უბანზე — მრეწველობაში, ტრანსპორტზე სოფლის მეურნეობაში, სავაჭრო ქსელის მუშაობაში, ყველგან, სადაც საბჭოთა ადამიანები მუშაობენ, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ეს უწინარეს ყოვლისა საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული ხელმძღვანელების, აგრეთვე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების საქმეა.

მოწინავე გამოცდილების მასობრივად გავრცელება საწარმოთა წიაღში არსებული რეზერვების ქმედითად გამოყენების, სოციალისტური წარმოების სრულყოფის საწინდარია, შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების მომასწავებელია.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის“ მუშაკთა და მუშაკოართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონ შემკეთებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვირის“ პირველი ნომრის გამოსვლიდან 25 წლის შესრულებასთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ამირანაშვილი დავით დიმიტრის-ძე — ქარხნის ზეინკალი, გაზეთის აქტიური მუშაკორი.
2. ბოლქვაძე ილია ასალოს-ძე — გაზეთის რედაქტორი.
3. ზაქარიაძე კაპიტონ იორდანის-ძე — გაზეთის ამწყობი.
4. კაჭკაჭიშვილი გრიგოლ არტემის-ძე — ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსის მოადგილე, გაზეთის აქტიური მუშაკორი.
5. მარიამული გიორგი გიორგის-ძე — ქარხნის საქვაბე საამქროს ნორმადარი, გაზეთის აქტიური მუშაკორი.
6. მაჩაიძე იოსებ ალექსის-ძე — ქარხნის მექვაბე, გაზეთის აქტიური მუშაკორი.
7. ნაზარბეგოვი ივანე არტემის-ძე — ქარხნის საერთო საცხოვრებელში ადმზრდელი, გაზეთის აქტიური მუშაკორი.
8. ფეიქრიშვილი დიმიტრი ივანეს-ძე — ქარხნის მექვაბე, გაზეთის აქტიური მუშაკორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1954 წ. 2 სექტემბერი.

საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★ ★ ★

ძმები ჭიღლაძეების წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს მარგანეცის ამწმენდმა ტრიფონ ჭიღლაძემ პატიოსანი და თავდადებული შრომით მაღაროელთა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი ყოველდღიურ დავალებას ორმაგად ასრულებს და ყოველთვიურად 3.000-3.500 მანეთს იღებს. ტ. ჭიღლაძემ კარგა ხანია შეასრულა წლიური დავალება და მარგანეცს მომავალი წლის ანგარიშში იძლევა. წარჩინებული მაღაროელის სახელი გასცილდა მაღაროს ფარგლებს. მას ახლა მთელი ჭიათურა იცნობს.

ტრიფონის მაგალითისამებრ ამ მაღაროში მუშაობენ მისი უმცროსი ძმები აკაკი და პეტრე ჭიღლაძეები. ისინი უფროსი ძმის დახმარებით სწრაფად დაეუფლნენ მარგანეცის ამწმენდის შრომატევად პროფესიას და ახლა ტრიფონს როდი ჩამოუვარდებიან. აკაკი და პეტრე გეგმას 160-180 პროცენტით ასრულებენ და თვითეული თვეში 3.000 მანეთამდე ხელფასს იღებს. თავდადებული შრომით ჭიღლაძეების ოჯახში ყოველთვიურად 10.000 მანეთამდე ხელფასი შედის. ძმები შეძლებულად ცხოვრობენ.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

ზესტაფონის რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 101,8 პროცენტით შეასრულა. სახელმწიფოს ჩაბარდა 76,2 ტონა პარკი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 75 ტონისა.

თელავის რაიონში აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 101,3 პროცენტით შესრულდა. დამზადდა 55,7 ტონა პარკი.

წითელწყაროს რაიონში აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულებულია 103,7 პროცენტით. 9 ტონის ნაცვლად დამზადდა 9,2 ტონა პარკი.

ოჩამჩირის რაიონში დამზადებულია 61,2 ტონა პარკი, ანუ წლიური გეგმის 110,3 პროცენტი.

ჩხოროწყუს რაიონმა 6 სექტემბრისათვის 100,3 პროცენტით შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. დამზადებულია 1.124 ცენტნერი პარკი.

ტრაქტორისტების სოციალისტური შეჯიბრება

თელავის მტს-ში

წარმატებით ანაღდებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს № 7 სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც დ. გიგოლაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადას გეგმით საშემოდგომოდ უნდა მოეხნა 360 ჰექტარი, ფაქტიურად სოფელ შალაურის კოლმეურნეობაში დავალება გადამეტებით შეასრულა. ამჟამად მექანიზატორები მუშაობენ მზრალად ხვნაზე, აწარმოებენ ადრე ხნული ნიადაგის კულტივაციას. მათივე ენერგიული დახმარებით კოლმეურნეობამ გადაჰარბებით შეასრულა სილოსის ჩადების დავალება, სათეს კონდიციამდე აიყვანა საჭირო სათესლე მასალა.

მოწინავეა გ. ძამუკაშვილის მე-11 სატრაქტორო ბრიგადაც, რომელიც უკვე ამთავრებს საშემოდგომო ხვნას.

მალე მტს-ი დაიწყებს თესვას. მთელი პურეულის 90 პროცენტი დაითესება ჯვარედინად.

კაჭრეთის მტს-ში

მტს-ის კოლექტივმა ვადამდე გაანაღდა სახელმწიფო დავალება — საშემოდგომოდ მოხნა 4.464 ჰექტარი, ნაცვლად 4.460-სა.

ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა ამ მხრივ მე-10 სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი გ. ღვინიაშვილი), რომელმაც დავალება 178 პროცენტით შეასრულა — საშემოდგომოდ მოხნა 536 ჰექტარი და დაზოგა 600 კილოგრამი საწვავი. ამ ბრიგადის მექანიზატორები კარგად დაეხმარნენ ჯიმითელ კოლმეურნეებს კომბაინით აღებული ფართობებიდან ნამჯის გატანაში, სათესლე მასალის გაწმენდაში და სხვ. დღითიდღე ჩადდება მზრალად ხვნაც.

ტრაქტორისტებმა ა. ღვინიაშვილმა, ა. შიოშვილმა და სხვებმა მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითები გვიჩვენეს.

კაჭრეთელი მოწინავე მექანიზატორები საქმით პასუხობენ მტს-ების მუშაკების რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა მიმართვას და აძლიერებენ მუშაობის ტემპს.

მოწინავე გამოცდილება—ყველა კოლმეურნეს

ჩხოროწყუ. („კომუნისტის“ კორ.). სოფელ ნაფიჩხუს მარქსის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე დ. ჯიქია) რაიონში ერთ-ერთი მძლავრი და მოწინავეა. აქ ჩაი შემოსავლის ძირითადი წყაროა. წელს ეს კოლმეურნეობა განსაკუთრებით დაწინაურდა ჩაის ფოთლის კრეფაში. მეჩაიეებმა გადაჭარბებით შეასრულეს ოთხი თვის გეგმა. წარმატებით იმუშავეს აგვისტოში. კოლმეურნეობამ 10 სექტემბრისათვის წლიური გეგმით გათვალისწინებული 342 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარა 345 ტონა ჩაის ფოთოლი. აქაურმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს 30 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი.

კრეფაში დაწინაურდა მეექვსე ბრიგადა, რომელსაც კ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ოთხი თვის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა, ხოლო აგვისტოს დავალება 26 აგვისტოსათვის გაანაღდა. მკრეფავებს შორის ყველაზე წინ არის მეთერთმეტე ბრიგადის წევრი თათუშა გოგუა. მას 0,5 ჰექტარზე უნდა მოეკრიფა 2 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფა 3 ტონაზე მეტი. დღეში საშუალოდ 50-70 კილოგრამს კრეფს. ერთ დღეს 123 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

მოპოვებული წარმატებებისათვის კოლმეურნეობა კრეფის სეზონის დაწყებიდან ინარჩუნებს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და მტს-ის გარდამავალ წითელ დროშას.

კოლმეურნეობის წევრები იბრძვიან იმისათვის, რომ 1955 წელს მოიპოვონ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. მდიდარი გამოცდილების გასაცნობად ამას წინათ მოსკოვში გამოფენაზე გაემგზავრნენ რაიონის ხელმძღვანელი და სოფლის მეურნეობის მუშაკები. მათ შორის იყვნენ აღნიშნული კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. ჯიქია, ამ კოლმეურნეობის მოწინავე ბრიგადირი კ. ჯაფარიძე, ჩაის წარჩინებული მკრეფავი თათუშა გოგუა და სხვები.

ისინი გამოფენაზე მიღებულ გამოცდილებას და შთაბეჭდილებას ფართოდ აცნობენ კოლმეურნეებს და აქაური მეჩაიეები ენერგიულად შრომობენ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

400 ათასი მანეთი მებოსტნეობიდან

ბურჯაანი. (საკ. კორ.). გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მებოსტნეობის განვითარებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. 32 ჰექტარი მიწა, რაც მებაღჩეობა-მებოსტნეობისათვის გამოჰყვეს, ღრმად მოხნეს და გააფხვიერეს, მინერალური და ორგანული სასუქები საჭირო დოზით შეიტანეს. კვალსათბურებსა და ნეშომპალის ქოთნებში დიდძალი ბოსტნეულის ნერგი გამოიყვანეს.

მებოსტნეობის ბრიგადის წევრებმა ნ. გოგოლაშვილმა, ს. კუპრაშვილმა, მ. ელიზბარაშვილმა და სხვებმა საუკეთესოდ მოუარეს საზამთროს, ნესვს, ხახვს, პამიდორს, კიტრს. მათი შრომა დაფასდა. ბაღჩეული და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის დავალება გადაჭარბებით სრულდება. საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერი საზამთრო მოიყვანეს, გეგმა კი 160 ცენტნერს ითვალისწინებდა. დღემდე კოლმეურნეობამ გაყიდა 220 ტონა საზამთრო. 50 ტონაზე მეტს კიდევ გაჰყიდის.

მებაღჩეობა-მებოსტნეობიდან კოლმეურნეობამ უკვე მიიღო 300 ათასი მანეთი შემოსავალი. კიდევ ვარაუდობენ ასი ათასი მანეთის ბაღჩეულისა და ბოსტნეულის გაყიდვას.

ბოსტნეულისა და ბაღჩეულის დამზადება-შესყიდვის გეგმის შესრულება

წელს ცეკავშირმა ფართოდ გაშალა ადრეული კარტოფილის, აგრეთვე ბოსტნეულისა და ბაღჩეულის დამზადება-შესყიდვა.

გეგმით გათვალისწინებული 700 ტონის ნაცვლად დამზადებულია 872,5 ტონა ადრეული კარტოფილი, 4.582 ტონის ნაცვლად 4.616,9 ტონა ბოსტნეული. საზამთროსა და ნესვის შესყიდვის დავალება შესრულებულია 101,4 პროცენტით.

წელს ბოსტნეული დამზადებული და შესყიდულია 1.225 ტონით მეტი, ვიდრე შარშან ამავე პერიოდისათვის, ხოლო საზამთრო და ნესვი — 2.827 ტონით მეტი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ძმური შეხვედრა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის მორიგი, ჩვეულებრივი დღე იყო. მართალია, ეს კვირადღე იყო და გამოფენაზე არაჩვეულებრივად ბევრი ხალხი მოვიდა — 227 ათასი კაცი. მათ შორის იყვნენ მოსწავლეები, სტუდენტები, მასწავლებლები, პროფესორები... ეს დასვენების დღე მათ გამოფენის გაცნობას მოანდომეს.

ეს იყო მოწინავე გამოცდილების ამ საყოველთაო-სახალხო სკოლაში სწავლის მორიგი დღე. ისევე როგორც ყველა წინა დღეებში, ამ დღეს გამოფენაზე დილადანვე მოვიდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის ათასობით წარმოგზავნილი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან — გამოფენის ათასობით მონაწილე და ექსკურსანტი. ისინი ყურადღებით უსმენდნენ ექსკურსიამძღოლებს პავილიონებში და ღია საექსპანატო ნაკვეთებზე, იწერდნენ ბლოკნოტებში, უბის წიგნაკებსა და სქელ რვეულებში ყოველივე იმას, რაც თვითეულ მათგანს აინტერესებდა...

დღისით კი საქართველოს სსრ პავილიონში გაიმართა მომძმე საბჭოთა ხალხების წარმოგზავნილთა მორიგი შეხვედრა, რომელიც დიდხანს დარჩება ხსოვნაში როგორც მეგობართა შეხვედრა, როგორც ნამდვილი ძმური შეხვედრა.

გამოფენაზე მყოფმა ამბროლაურის რაიონის წარმოგზავნილთა ჯგუფმა, რომელსაც სათაოში უდგას რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯინჭარაძე, საქართველოს სსრ პავილიონში მიიწვია მომძმე საბჭოთა უკრაინის წარმომადგენლები იმ კოლმეურნეობებიდან, რომლებიც ვენახების გაშენებას იწყებენ.

დნეპროპეტროვსკის ოლქის ლიხოვკის, ვერხნედნეპროვსკის, პეტროპავლოვკისა და პავლოგრადის რაიონების კოლმეურნეთა დიდი ჯგუფი დიდი ინტერესით შეხვდა ქართველ მევენახეებს ამბროლაურის რაიონიდან, რომელთა შორის იყო სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ტყემალაშვილი. ამ სოფელში მოჰყავთ ყურძენი, რომლისგანაც მზადდება ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განთქმული ნატურალური ტბილი ღვინო „ხვანჭკარა“.

ძველი მეგობრებივით შეხვდნენ ამბროლაურის რაიონის მევენახეები დნეპროპეტროვსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმომადგენლებს. გაიმართა გაცხოველებული, საქმიანი საუბარი. უკრაინელებს აინტერესებდათ, რა ჯიშის ვაზს აშენებენ მათი ქართველი მეგობრები, რა ჯიშებს ურჩევენ გასაშენებლად დნეპროპეტროვსკის ოლქის პირობებში. როცა ამბროლაურელებმა შეიტყეს, რომ დნეპროპეტროვსკელები ზამთრისაფვის ვაზს მიწით ფარავენ, რომ ნიადაგის დამუშავება მექანიზებული აქვთ, ურჩიეს გააშენონ რქაწითელი, საფერავი, ალიგოტე, პინო და სხვა ჯიშის ვაზები.

ამბროლაურელმა კოლმეურნეებმა აგრეთვე უამბეს, რომ, მათ თავიანთი სანერგე აქვთ და დაჰპირდნენ დამწყებ უკრაინელ მევენახეებს, რომ ლერწით დაეხმარებიან. შეთანხმდნენ, რომ მიწერ-მოწერა ექნებათ ერთმანეთთან. გაზაფხულზე კი ქართველი მევენახეები, რომლებსაც ვაზის გაშენების დიდი გამოცდილება აქვთ, თავიანთ მეგობრებს უკრაინაში ნამყენ ვაზს გაუგზავნიან. მეგობრული საუბრის მსვლელობაში უკრაინელმა კოლმეურნეებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი გადაწყვეტილება — გააშენონ და განავითარონ დნეპროპეტროვსკის ოლქში ისეთი ძვირფასი კულტურა, როგორიც არის ვაზი.

მოსკოვი. სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. უზბეკეთში ფართო პოპულარობით სარგებლობს მევენახეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მცდელობა-აგრონომი ცნობილი მევენახე, სტალინური პრემიის ლაურეატი რიზამატ მუსამუჰამედოვი. მის მიერ შემუშავებული მეთოდები ზრდის ვაზის ხანგრძლივობას, ადიდებს მოსავლიანობას და უზრუნველყოფს რიგთა შორის მექანიკური დამუშავების შესაძლებლობას. **სურათზე:** უზბეკეთის სსრ პავილიონში სტალინური პრემიის ლაურეატი რიზამატ მუსამუჰამედოვი (მარცხნივ) თავისი მუშაობის გამოცდილებას უზიარებს ოფხაზეთის ასს რესპუბლიკიდან ჩასულ ექსკურსანტებს.

ფოტო ვ. ეგოროვისა და ნ. სიტნიკოვისა (საკ. ფოტოქრონიკა).

საუბრის დროს შეკრებილთ შეუერთდა მევენახეთა მცირე ჯგუფი ტაჯიკეთის სს რესპუბლიკიდან და ქართველ მევენახეთა დიდი ჯგუფი ზესტაფონის რაიონიდან.

მეგობრების საუბარში ჩაება ტაჯიკეთის სსრ შაჰრინუს საბჭოთა მეურნეობის მერგოლური აბდურაშიდ რახმანოვი, რომელმაც საშუალოდ ჰექტარზე 230 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ეს საბჭოთა კავშირში ყურძნის ყველაზე დიდი მოსავალია.

შეკრებილებმა ამხ. რახმანოვს ბევრი შეკითხვა მისცეს. პასუხად მან მეგობარ მევენახეებს უამბო, რომ ტაჯიკი მევენახეები ვაზს შპალერზე აკრავენ, რისთვისაც იყენებენ ოთხ იარუსად გაჭიმულ მავთულს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ ტაჯიკი მევენახეები, როგორც წესი, მწკრივთა შორის იცავენ სამ მეტრ, ხოლო ვაზებს შორის ორმეტრნახევარ მანძილს, ტრაქტორებით ღრმად ამუშავებენ რიგთაშორისებს, ტოვებენ 600-მდე კვირტსა და სანაცვლო ყლორტს. ამის შედეგად 1951-1952 წლებში ცალკეულ ჰექტარებზე ყურძნის მოსავალმა 300 ცენტნერზე მეტი შეადგინა. მოსავლიანობის გასაიდიდებლად ჰექტარზე შეაქვთ 500-600 კილოგრამი სუპერფოსფატი, 20-25 ტონა ორგანული სასუქი. ვენახები უზრუნველყოფილია სარწყავი ქსელით.

ყოველივე ამის შედეგად ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. ყურძენი 20-22 პროცენტ შაქარს შეიცავს. თეთრი და ვარდისფერი ყურძნის „ბაიანშირისგან“ მზადდება 10-12 გრადუსი სიმაგრის მშრალი ღვინო და შამპანურის მასალა. ტაჯიკი მევენახეები აშენებენ ბევრი ჯიშის ვაზს, მათ შორის მემრანს, რქაწითელს. საქართველოს მევენახეებმა დიდი ინტერესით შეიტყვეს, რომ საქართველოში ფართოდ ცნობილი რქაწითელი ტაჯიკეთში ცალკეულ ჰექტარებზე 300 ცენტნერზე მეტ მოსავალს იძლევა.

სამი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკის მევენახეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება და გადაიღეს ფოტოსურათი ამ დაუვიწყარი ძმური შეხვედრის სახსოვრად. შეხვედრის დამთავრების წინ მეგობრებმა ერთმანეთს ახალი საწარმოო წარმატებანი უსურვეს და სურვილი გამოთქვეს დადონ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი, რათა ახალი ერთობლივი ღონისძიებებით იბრძოლონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც პარტიამ დასახა.

ს. რიჟინაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ფართოდ დავნერგოთ მოწინავე მეხილეთა გამოცდილება

ჰექტარზე 500 ცენტნერი ვაშლი

ჩვენი კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ მეურნეობის მთავარ დარგს მეხილეობა წარმოადგენს. კოლმეურნეობაში ხილის უხვი მოსავლის ზევრი ოსტატია.

პირადად მე ერთ ჰექტარ ხეხილის ბაღს ვუვლი. ბაღში ძირითადად გამენეზულია „კეხერას“ ჯიშის ვაშლი. ყველაზე მაღალი მოსავალი პირველად 1948 წელს მივიღე. ჩემზე მომაგრებულ ბაღში მოვკრიფე 400 ცენტნერი ვაშლი. არც შემდგომ წლებში შემირცხვენია თავი. 1950 წელს მოსავლიანობა 470 ცენტნერამდე გავზარდე. მიუხედავად არანელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა შემდგომ წლებშიც დიდად გადავაჭარბე ხილის მოსავლიანობის დაწესებულ გეგმებს.

როგორ ვაღწევ ვაშლის უხვი მოსავლის მიღებას?

უწინარეს ყოვლისა ბაღის გულმოდგინე მოვლის შედეგად. ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლას შემოდგომიდანვე ვიწყებ. ნიადაგს ვხნავ რიგთა შორის 22-25 სანტიმეტრის სიღრმეზე, თვითეულ ძირზე ნიადაგში შემაქვს 3 ცენტნერი ორგანული და 6 კილოგრამი მინერალური სასუქი კომბინირებული სახით. შემოდგომაზევე ვასრულებ ისეთ სამუშაოებს, როგორიც არის გასხვლა, შტამბის ჩამოფხეკა და შეთეთრება, მოზამთრე მავნებლების ბუდეების შეგროვება. გაზაფხულზე ვაწარმოებ ნიადაგის აოშვას.

მინერალური ზეთებით ორჯერ ვწამლობ ხეხილს: პირველად შემოდგომით ფოთლის გაცვენის შემდეგ, მეორედ კი გაზაფხულზე ფოთლის გამოსვლამდე. ფოთლის გამოსვლის შემდეგ დაყვავილებამდე კომბინირებული ხსნარით ერთხელ ვახდენ წამლობას, დაყვავილების შემდეგ კი — სამჯერ. გაზაფხულზე ბაღში შემაქვს კიდევ მინერალური და ორგანული სასუქები. ხეხილს ვრწყავ სამჯერ.

ახლა ეს ნაკვეთი სანიმუშოდ არის მოვლილი. ხეები დახუნძლულია ნაყოფით. ტოტები ნაყოფის სიმძიმისაგან რომ არ ჩამოტყდეს, სამაგრებს ვუყენებ. წელს სარეკორდო მოსავალს მივიღებ — მოვკრეფ 500 ცენტნერ ვაშლს.

სიკო ცაციაშვილი,
სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ წევრი.

სანიმუშოდ მოვაწყოთ ხილის მიღება-გადამუშავება

„გორამას“ მთის ძირიდან, — როგორც მას ფლაველები ეძახიან, იწყება კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ ხეხილის ბაღები. კოლმეურნეობაში ხილის მაღალი მოსავლის მრავალი ოსტატია. გასულ წელს ფლაველმა მეხილეებმა 42 ჰექტარ მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 55 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანეს 111 ცენტნერი ვაშლი და მოიპოვეს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლება. წელს შარშანდელზე ნაკლებად როდი უსხიათ ხეხილს. ბრიგადა, რომელსაც ს. თენაძე ხელმძღვანელობს, მსხმოიარე ბაღის თვითეულ ჰექტარზე მოკრეფს 120 ცენტნერამდე ხილს.

— ჩვენს კოლმეურნეობაში, — ამბობს კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის“ თავმჯდომარე ს. ბუთურიშვილი, — გაქრა ის შეხედულება, რომ თითქოს ვაშლი ორ წელიწადში ერთხელ უნდა იძლეოდეს მოსავალს. ამას ხილის მეწლეობას ვეძახდით. ახლა მესამე წელია ვაშლის მაღალი მოსავალი მოგვყავს. მეწლეობის ლიკვიდაციას ჩვენ მივაღწიეთ ხილის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებით.

ხილის უხვი მოსავალი მწიფდება სოფლების კარალეთის, ქვეშის, ტყვიავის, მერეთის, ხელთუბნის, ზელდულეთის, შავშვების, კარბის და სხვა კოლმეურნეობებში. ზოგან (ნიქოზი, ყელქცეული, ხვითი) საადრეო ვაშლის შერჩევით კრეფა დაიწყო. წელს სახელმწიფოს გაცილებით მეტი ხილი ჩაბარდება, ვიდრე შარშან.

ხილის უხვი მოსავლის მიღება-გადამუშავებისათვის მზადება გააჩაღა საქკონსერვცენტრესტის ხილბოსტნეულის დამზადების გორის კანტორამ. წელს მომღები პუნქტისათვის აიგო სამი ახალი კაპიტალური შენობა. ყველა მიმღებ პუნქტს გაუკეთდა მიმდინარე და კაპიტალური რემონტი. მაგრამ ხილის მიღება-გადამუშავებისათვის მზადებაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მიმღები პუნქტები უზრუნველყოფილი არ არიან სამუშაო და გასაგზავნი ტარით. მაგალითად, სამუშაო ტარა დამზადების ყანტორას საჭირო რაოდენობის ჯერ მხოლოდ ნახევარი აქვს. გადამჭრელი ზომები არ არის მიღებული მიმღებ პუნქტებში ხილის გადამუშავების სამუშაოთა მექანიზაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეს საჭირო ყურადღებას არც საქკონსერვცენტრესტი აქცევს.

ხილის მიღება-გადამუშავების წლევანდელი სეზონისათვის უნდა დამთავრდეს ხილის შემფუთავი ქარხნის მშენებლობა, რაც გორში მიმდინარეობს. მაგრამ იმ ტემპით, როგორითაც მშენებლობა წარმოებს, საეჭვოა ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემა. სახურავი მასალის უქონლობის გამო მუშაობა შეჩერებულია.

მალე რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხილის კრეფა მასობრივად გაჩაღდება. მიმღები პუნქტებისაკენ გაეძართეზიან ხილით დატვირთული ავტომანქანათა კოლონები. ხილის დამამზადებელ მუშაკთა საპატიო მოვალეობაა სანიმუშოდ მოაწყონ ხილის მიღება.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.

★ ★

მეხილეობა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგია. კარგად მოვლილი ხეხილის ბაღები დიდ შემოსავალს აძლევენ კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეთა შემოქმედებითმა შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო. წელს ხილის კარგი მოსავალია.

გორის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში მეხილეობას დიდი ხვედრითი წონა აქვს. გორული ხილი ცნობილია მთელ საბჭოთა კავშირში. აქაური მოწინავე კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობები მეცნიერების მიღწევებისა და უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების გამოყენებით წარმატებით ასრულებენ დავალებებს მეხილეობის განვითარებაში. ბარაქიანი მოსავლის მიღების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა მეხილეობაში მეწლეობის ლიკვიდაცია.

ამ გვერდში გაშუქებულია მოწინავეთა გამოცდილება და ის აგროტექნიკური ღონისძიებანი, რომლებითაც ისინი აღწევენ მეხილეობის აღმავლობას.

★ ★

როგორ უზრუნველვყოთ ხეხილის ყოველწლიური მოსავლიანობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და თებერვალ-მარტის პლენუმების გადაწყვეტილებებით გათვალისწინებულია უახლოეს ორ-სამ წელიწადში ხეხილის ბაღების მოსავლიანობის გადიდება და ხილის ხარისხის გაუმჯობესება.

ჩვენი მშობლიური პარტიის ეს უმნიშვნელოვანესი გადწყვეტილებანი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს მეხილეებსაც. საბჭოთა ხუთწლეულის მანძილზე ხეხილის ბაღების ფართობი ჩვენში ერთისამად გაიზარდა და მასთან ერთად გაუმჯობესდა მათი მოვლის საქმეც, რის შედეგად მთელი რიგი კოლმეურნეობები ყოველწლიურად ხილის ბაღიან მოსავალს იღებენ. მიუხედავად ამისა, ხეხილის ბაღების დღევანდელი მდგომარეობა მაინც ვერ უპასუხებს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ხილის საერთო მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია და, რაც მთავარია, ისეთ ძირითად კულტურათა მსხმოიარობა, როგორიც ვაშლი და მსხალია, არარეგულარულია (არაყოველწლიურია). ამიტომ ჩვენი ძირითადი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ ხეხილის ყოველწლიური უხვი მსხმოიარობა.

ჩვენი ქვეყნის მკვლევართა მიერ ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით უდავოდ იქნა დადგენილი, რომ მეწლეობა ხეხილის ბუნებით კი არა, არამედ კვების და წყლით მომარაგების პირობების გაუარესებით არის გამოწვეული და რომ ხეხილის მოვლის გაუმჯობესებით მეწლე ხეხილი თავისუფლად შეიძლება რეგულარულ მსხმოიარედ ვაქციოთ.

ცნობილია, რომ ხეხილს ზრდისა და მსხმოიარობისათვის საკვები ნივთიერებებისა და წყლის საგრძნობი რაოდენობა ესაჭიროება. წყალთან ერთად შეთვისებული მინერალური ნივთიერებებიდან იგი ორგანულ ნაერთებს წარმოშობს. საჭიროა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის მოსავლის მომცემი სანაყოფე კვირტების ჩასახვა და განვითარება ხდება არა ამავე წელს, არამედ წინა წლის ზაფხულში. მაშასადამე, თუ ზაფხულში არახელსაყრელი პირობების გამო სანაყოფე კვირტების ჩასახვა არ მოხდა, შემდეგი წლისათვის მოსავალს ვერ მივიღებთ. თანამედროვე გამოკვლევებით დადგენილია ისიც, რომ სანაყოფე კვირტების ჩასახვისათვის მარტო ნახშირწყლები კი არ არის საკმარისი, როგორც წინათ ფიქრობდნენ, არამედ მასთან ერთად აზოტის გარკვეული რაოდენობაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

მსხმოიარე წელს, განსაკუთრებით თუ მოსავალი უხვია, ხეხილი საკვების დიდ რაოდენობას ყვავილებისა და შემდეგ გამონასკული ნაყოფის კვებისათვის ხარჯავს. დადგენილი კი არის, რომ ვაშლის უხვი მოსავლიანობისათვის სრულიად საკმარისია ყვავილების საერთო რაოდენობის 10 პროცენტი. როგორც ჩანს, ყვავილების დანარჩენი რაოდენობა ზედმეტია, მათს გამოკვებაზე კი ხეხილი საკვების საგრძნობ რაოდენობას ხარჯავს. დადგენილია ისიც, რომ ნაყოფის ე. წ. ფიზიოლოგიური ცვენის დროს იენისში ცვივა ნასკვების 60-85 პროცენტი. მათ გამოკვებაზე კი ხემ უკვე დახარჯა საკვების დიდი რაოდენობა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ სრულმსხმოიარე ვაშლის ხე 200-300 კილოგრამამდე და უფრო მეტ ხილის მოსავალს იძლევა, ნათელი წარმოსადგენი გახდება, საკვების რა რაოდენობა არის საჭირო ასეთი დიდი მოსავლის გამოსაკვებად. მსხმოიარე წელს არასაკმარისი კვების პირობებში, ყვავილების და შემდეგ გამონასკული ნაყოფის მიერ საკვების დიდი რაოდენობით მოხმარების გამო, ფესვთა სისტემა მშიერი რჩება, რაც ფესვების შემწოვი ნაწილის ზრდის შესუსტებას და, მაშასადამე, ნიადაგიდან საკვების შეთვისების შემცირებას იწვევს. ასეთ პირობებში, როდესაც ხეხილს შეთვისებული საკვები არსებული მოსავლის გამოსაკვებადაც ძლივს ჰყოფნის ან არც კი ჰყოფნის, მომავალი წლის მოსავლის უზრუნველსაყოფად საჭირო სანაყოფე კვირტები აღარ ჩაისახება; ამრიგად, შემდეგი წელი მოუსავლიანი იქნება.

რადგან ნახშირწყლების მაღალი შემცველობა აზოტთან ერთად სანაყოფე კვირტების ჩასახვის აუცილებელი პირობაა, ამიტომ არა მსხმოიარე წელს, როდესაც ნაყოფის კვებისათვის ნახშირწყლები არ იხარჯება, ხეხილი აგრავეს საკვების საკმაო რაოდენობას, რაც უზრუნველყოფს სანაყოფე კვირტების ჩასახვას და, მაშასადამე, შემდეგი წლის მოსავალსაც. თუ შემდეგ წლებშიც ხეხელი ასეთ არასაკმარის კვების პირობებში იქნა ჩაყენებული, მეწლეობა ქრონიკულ ხასიათს იღებს; ხეხილი ერთ წელს მოსავალს იძლევა, მეორე წელს კი მხოლოდ სანაყოფე კვირტებს ივითარებს მესამე წლისათვის და ა. შ.

თუ დავაკვირდებით ხეხილის სხვადასხვა კულტურებს, დავინახავთ, რომ მეწლეობა ძირითადად ვაშლის და მსხლის შემოდგომა-ზამთრის ჯიშებს ახასიათებს, ე. ი. ისეთ ჯიშებს, რომელთა ნაყოფი გვიან შემოდგომამდე ხეზე რჩება. კურკოვანი ხეხილისათვის კი მეწლეობა ნაკლებად დამახასიათებელია. მაშ რა არის მიზეზი, რომ ბალს, ალუბალს და გარგარს მეწლეობა არ ახასიათებს? ამის მიზეზი შემდეგია:

როგორც ცნობილია, ბლის ყველაზე საგვიანო ჯიშები ჩვენში ივნისის ბოლო რიცხვებში იკრიფება, ხოლო გარგარისა და ალუბლისა — ივლისის შუა რიცხვებში. დადგენილია, რომ აღნიშნულ ხეხილზე სანაყოფე კვირტების ჩასახვა ივლისის ბოლოს ან აგვისტოს პირველ რიცხვებში იწყება. რადგან სანაყოფე კვირტების ჩასახვამდე მოსავალი ბევრად ადრე იკრიფება, ხეხილს საშუალება ეძლევა მოასწროს მოსავლის ბოლის შემდეგ სანაყოფე კვირტების ჩასახვისათვის საკვებ ნივთიერებათა საჭირო მარაგის დაგროვება და ამ წელსვე უზრუნველყოს სანაყოფე კვირტების ფორმირება. მარცალი, ატმის ჯიშთა უმრავლესობა აგვისტოს ბოლოს ან სექტემბრის დასაწყისში იკრიფება, მაგრამ, როგორც გამოკვლევებით იქნა დადგენილი, ატამზე სანაყოფე კვირტების ჩასახვა სექტემბრის დამლევს იწყება; ამრიგად, კვირტების ჩასახვის დაწყებისას ხე ჯერ თავისუფალია მოსავლისაგან. რაც შეეხება ვაშლსა და მსხალს, მათზე სანაყოფე კვირტების ჩასახვა იწყება ივლისის ბოლოს, მაშინ როდესაც შემოდგომისა და ზამთრის ჯიშებზე ნაყოფი იკრიფება სექტემბერ-ოქტომბერში. რადგან სანაყოფე კვირტების ფორმირების პერიოდში ხე მოსავლით არის დატვირთული, ამიტომ კვების ცუდ პირობებში მოსავლიან წელს სანაყოფე კვირტებს ვერ ივითარებს. კვების პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში კი ხეხილს შეუძლია მოსავალიც გამოკვების და სანაყოფე კვირტებიც განვითაროს.

რადგან ეს ასეა, ყოველწლიურად უხვი მოსავლის მისაღებად საჭიროა დამყარდეს წონასწორობა საკვების მიწოდებასა და მოხმარებას შორის. ამის მიღწევა კი შესაძლებელია საერთო მაღალი აგროტექნიკის ფონზე. ამიტომ ბალში აგროღონისძიებათა გატარებისას პირველ რიგში საჭიროა კვების რეჟიმის გაუმჯობესება. ხეხილის მიერ ნიადაგიდან საკვების დიდი რაოდენობით მოხმარების გამო, დანაკლისის შესავსებად საჭიროა ბალის სისტემატური განაყოიერება როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქების შეტანით.

რას უნდა მიეცეს ყურადღება ხეხილის ბაღში სასუქების გამოყენების დროს? ძველი შეხედულების საწინააღმდეგოდ დადგენილია, რომ უხვი აზოტური კვება ხელს უწყობს სანაყოფე ტოტებში ნახშირწყლების შემცველობის მკვეთრად გადიდებას; ეს უკანასკნელი კი, როგორც აღნიშნული იყო, სანაყოფე კვირტების ჩასახვისათვის აუცილებელი არის. ამიტომ საჭიროა აზოტიანი სასუქი ხეხილს მიეცეს სწორედ იმ ფაზაში, როდესაც მას ესაჭიროება. ამჟამად აზოტიანი სასუქების მთელი რაოდენობა გაზაფხულზე ერთ ვადაში შეაქვთ. აზოტიანი სასუქები უნდა შევიტანოთ ხეხილის ბაღში არა ერთ ვადაში, არამედ რამდენიმე წილად: ნორმის ერთი მესამედი შემოდგომით, ერთი მესამედი — ადრე გაზაფხულზე, დანარჩენი კი ნასკვის ივნისის ცვენის შემდეგ — სანაყოფე კვირტების ჩასახვის სტიმულირებისათვის.

მარტო სასუქების შეტანა საკმარისი როდია. რამდენადაც საკვების შეთვისება მცენარეს შეუძლია მხოლოდ წყალხსნარის სახით, საჭიროა ხეხილი უზრუნველყოფილ იქნას წყლითაც. წყლის და საკვების საჭირო მარაგი რომ შეექმნათ ნიადაგში და ხეხილმა სრულად გამოიყენოს იგი, საჭიროა ნიადაგს ჰქონდეს სტრუქტურული აგებულება. ამას შეიძლება მივაღწიოთ მრავალწლიანი ბარკოსანი და მარცვლოვანი ბალახების ნარევის თესვით. ამიტომ ბალახთესვა ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ხეხილის ბაღში, ბალახთა ნარევი ბაღში უნდა დაითესოს რიგის გამოტოვებით („ზოლურად“); ნათესის ერთ ადგილზე დატოვების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5-2 წელს. მრავალწლიანი ბალახების თესვასთან ერთად ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საფარი კულტურები — სიდერატები, სათოხნი კულტურები და სუფთა ანეულიც (ზორიგეობით).

მაგრამ ყველაფერი ეს კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა ხეხილს ჰქონდეს უხვად განვითარებული ხაო ფოთლის საკმაო ზედაპირი. მაღნეული მწერები და ავადმყოფობანი კი ძირითადად ფოთლის მასას აზიანებენ. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მთელი სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე ჩატარებულ იქნას მაღნეულთა და ავადმყოფობათა წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა. საჭიროა ხეხილის სისტემატური სხვლა და სხვა ღონისძიებათა გატარებაც.

ჩვენი კოლმეურნეების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს არც თუ ისე ძნელი საქმეა. საბჭოთა კავშირის მთელი რიგი რესპუბლიკებისა და ოლქების კოლმეურნეობებში, სადაც ბაღების მოვლის საქმე მაღალ დონეზეა დაყენებული, ერთი და იმავე ნაკვეთიდან ყოველწლიურად მაღალ მოსავალს იღებენ. არანაკლებ შედეგებს მიაღწიეს ქართველმა მეხილეებმაც. გორის რაიონის სტალინის სახელობის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც ბაღების მოვლის საქმე უკანასკნელ წლებში კარგად არის დაყენებული, მთელი რიგი ნაკვეთებიდან ყოველწლიურად იღებენ მოსავალს.

უკანასკნელ წლებში ბაღების მოვლის გაუმჯობესების შედეგად მსხმოიარე ბაღების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, გორის რაიონში გასულ წელს ხილის მაღალი მოსავალი იქნა მიღებული; მიუხედავად ამისა, მიმდინარე წელს ხილის მოსავალი კიდევ უფრო უკეთესია. წელს მასობრივად ასხია არა მარტო იმ ბაღებს, რომლებსაც შარშან სუსტად ესხა, არამედ იმათაც, რომელთაგან გასულ წელს მაღალი მოსავალი იყო მიღებული. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მეწლეობის საკითხი ცდის ფარგლებს გასცდა; რომ ბაღების სანიმუშო მოვლით უზრუნველყოფილ იქნება ხილის მაღალი, ყოველწლიური მოსავალი.

დოცენტი პ. კაჭარავა,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეხილეობის საცდელი სადგურის დირექტორი.

ციფრები და ფაქტები

⊙ **სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადის“ ხეხილის მსხმოიარე ბაღი სახნავ-სათესი ფართობის 6,5 პროცენტს უდრის. მეხილეობიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა კი 1953 წელს კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 60,4 პროცენტი შეადგინა.**

⊙ **მარტო მიმდინარე წლის გაზაფხულზე რაიონის კოლმეურნეობებში გაშენდა 200 ჰექტარი კურკოვანი და თესლოვანი ხილის ახალი ბაღი. შემოდგომაზე კიდევ გაშენდება 300 ჰექტარი.**

⊙ **ხილის მაღალი მოსავლის მიღებისათვის გასული წლის მაჩვენებლებით სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი იყვნენ კარალეთის, ფლავის, ხელთუბნის კოლმეურნეობები და ვარიანის სტალინის სახელობის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა.**

⊙ **საქკონსერვცენტრესტის ბოლბოსტნეულის დამზადების გორის კანტორამ წელს დამზადა 860 ტონის ნაცვლად 892,5 ტონა კურკოვანი ხილი, 15-ის ნაცვლად 17,5 ტონა ნიგვზის კაკალი და სხვა.**

აღვადგინოთ გორული ატმის ჯიშები

ქართლის, განსაკუთრებით კი გორის რაიონის ბუნებრივი პირობები ატმის განვითარებისათვის უაღრესად ხელსაყრელია. გორულ ატამს თავისი გარეგნული სილამაზით, გემოთი, სურნელებითა და სხვა თვისებებით ბადალი არ მოეპოვება. გორულმა ატამმა ძველთაგანვე გაითქვა სახელი.

სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში ატმის მოვლა-პატრონობას საკმაოდ დაუფლებული არიან. აქ ყველას უყვარს ეს კულტურა. მაგრამ რატომღაც გორული ატმის ცნობილ ჯიშებს უკანასკნელ ხანს სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ახლა გორული ატმის ცნობილი ჯიშები ცნობილი არიან „ხიდისთაური თეთრის“, „ხიდისთაური ვარდისფრის“, „ხიდისთაური საგვიანო ყვითლის“ და სხვა სახელებით. პირველი ორი ჯიში — „ხიდისთაური თეთრი“ და „ხიდისთაური ვარდისფერი“ კოლმეურნეობაში საკმაოდ გვაქვს. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ნაყოფი თავისი გემოთი, სურნელებითა და სიმსხოთი არა ჰგავს წინანდელს. „ხიდისთაური საგვიანო ყვითელი“ კი, რომელიც ნოემბრის ბოლოს მწიფდება და ზამთრამდე ინახება, უფრო იშვიათია და ამასთან რამდენადმე სახეშეცვლილიც.

ჩვენ გვახსოვს, რომ გორული ატმის ნაყოფი ყურადღებას იპყრობდა თავისი სიმსხოთი, მშვენიერი გემოთი და სურნელებით. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღდგენილ იქნას გორული ატმის ცნობილი ჯიშები.

ა. ნოზაძე,
გორის მტს-ის მთავარი აგრონომი.
ჯ. ტლაშაძე,
ი. დაღელაშვილი,
სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირები.

პიროგას გავანადგეგთ

კარიანის სტალინის სახელობის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა მომზადებული შეხვდა ხილის კრეფის დაწყებას. აიგო სამი ახალი ფარდული, დაიდგა ხილის დამყალიბებელი ახალი მანქანა, აგროუბნები და საწარმოო ბრიგადები დაკომპლექტებულია მკრეფავებით, წესრიგშია ტრანსპორტი, მომარაგებულია საჭირო ტარა.

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე, რომელიც მოსავლის აღების გეგმას განიხილავდა, მეორე აგროუბნის აგრონომმა მ. მიქაძემ უბნის კოლექტივის სახელით განაცხადა, რომ მისი აგროუბანი წელს მოკრეფს გეგმით გათვალისწინებული 656 ტონის ნაცვლად 1.050 ტონა ვაშლს.

უკვე შევუდექით საადრეო ვაშლის კრეფას. მოკრეფილი გვაქვს 150 ტონამდე ვაშლი. 30 ტონა ვაშლი უკვე მივეცით საქართველოს კურორტვაჭრობას. მზადდება ოთხი ვაგონი საუკეთესო ვაშლი მოსკოვის მშრომელებისათვის გასაგზავნად.

მოსავლის აღების გეგმა-გრაფიკის მიხედვით ყოველდღიურად მოვკრეფთ 55 ტონა ვაშლს და მოსავლის აღებას მთლიანად დავამთავრებთ 42 სამუშაო დღეში. წელს გეგმით გათვალისწინებული 2.125 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩავაბარებთ 3.000 ტონამდე მაღალხარისხოვან ვაშლს. ასეთია სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ჩვენი ვალდებულება.

ნ. დაფქვიაშვილი,
ვარიანის სტალინის სახელობის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი.

ახალი წარმატებებისათვის

ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც სასელექციო მუშაობას ვეწევი. მაგრამ ჩემს მუშაობას ნამდვილი გასაქანი მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა. უმთავრესი სასელექციო მუშაობა სწორედ ჩვენს დიდ ეპოქაში მაქვს შესრულებული.

1948 წელს დიდ ფართობზე ცდების მოწყობის მიზნით 3,5 ჰექტარი ნაკვეთი გამომიყვეს სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობასთან. ჩემი საკარმიდამო ნაკვეთიდან, რომელიც სოფელ წედისში მაქვს, ახალ ნაკვეთზე გადმოვიტანე ატმისა და ვაზის ნარგავები და თვითეული ჯიში ცალკე გავაშენე. ვაწარმოებდი ცდებს. წლების მანძილზე შეჯვარების გზით ატმის 37 და ვაზის 60-მდე ახალი პერსპექტივული ჯიში გამოვიყვანე. მათ შორის აღსანიშნავია: ატმის ჯიშები „ზესტაფაშვილი“, „წედისურა“ სახრავი და „წედისურა“ საპობი. ეს ჯიშები ახლა საკმაოდ გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში და საუკეთესო მასალას წარმოადგენს კომპოტის დასამზადებლად.

1951 წელს გორის მეხილეობა-მებოსტნეობის სასელექციო-საცდელ სადგურს გადავეცი ჩემს მიერ გამოყვანილი ატმის 17 ახალი ჰიბრიდი. ატმის ამდენივე ახალი ჰიბრიდი გადავეცი გასულ თვეში.

ხეხილის ახალი ჯიშების გამოყვანაში მიღწეული წარმატებებისათვის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე ვარ ფართო ჩვენებით.

ვ. ბესტავაშვილი,
პრაქტიკოსი მიჩურინელი.

ვაშლის კრეფა გორის რაიონის სოფელ შავშვების კოლმეურნეობაში. წინა პლანზე კოლმეურნე თინა წკრიალაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ვერ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს

რუსთავის ბეტონის ცენტრალური კომბინატი ჩამორჩება

ამერიკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატი მძლავრი საწარმოებით არის აღჭურვილი. აქ საშუალება აქვთ გამოუშვან 20-ზე მეტი ძირითადი სახეობის რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები, მათ შორის რკინაბეტონის კოჭები, სხვადასხვა ასორტიმენტის ფილები, დიდ დიამეტრიანი დაძაბულ-არმირებული მილები, ძელფენილები და სხვ., რაზედაც განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა არა მარტო რუსთავის, არამედ მთელი საქართველოს და სხვა მოძმე რესპუბლიკების სამშენებლო ობიექტებზეც.

სამწუხაროდ, ბეტონის ცენტრალური კომბინატი საწარმოო დავალებების შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩება. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში კომბინატის კოლექტივს არც ერთ თვეში არ შეუსრულებია სახელმწიფო გეგმა. კომბინატში არ მოიძებნება ისეთი საამქრო, რომელიც სისტემატურად ასრულებდეს დავალებას.

კომბინატის დირექტორი შ. ბერიშვილი და მთავარი ინჟინერი გ. ანდრონიკაშვილი ჩამორჩენის გასამართლებლად უხვად ასახელებენ „ობიექტურ“ მიზეზებს, როგორიც არის: საჭირო მასალების არარეგულარული მომარაგება, ავტოტრანსპორტის სიმცირე, დაკვეთების უქონლობა და სხვ. მაგრამ ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი მოუქნელი ხელმძღვანელობაა. კომბინატში სუსტად იბრძვიან საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალური გამოყენებისა და ადგილობრივი რეზერვების გამოვლენებისათვის. დაბალია შრომის დისციპლინა. მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გაცდენის 96 და წარმოებიდან თვითნებურად წასვლის 10 შემთხვევა იყო.

ბეტონის ცენტრალურ კომბინატში ორ წელზე მეტია ამუშავდა მძლავრი აგრეგატი — კომბაინი, რომელიც სპეტონე ყალიბის გამოუყენებლად ავტომატურად ამზადებს მაღალხარისხოვან ძელფენილებს შენობების სართულთაშორისი დადახურვისათვის. დღემდე ვერ მოხერხდა კომბაინის ტექნიკური სიმძლავრის სრულად ათვისება. ძელფენილების გამოშვება თვეში გათვალისწინებულის 27 პროცენტს არ აღემატება.

კომბინატის კოლექტივმა პირველმა ათისა რკინაბეტონის დიდ დიამეტრიანი დაძაბულ-არმირებული მილების წარმოება. ამ საქმეში აქ უკვე საკმაო გამოცდილება აქვთ. მაგრამ მილების დამზადების ტემპი მაინც დაბალია. აგვისტოში დაძაბულ-არმირებული მილების საამქროში 125-კაც-საათი გაცდა არმატურის უქონლობის გამო, თვიური დავალება 28,5 პროცენტით შესრულდა.

მინქაფა-ბეტონის ბლოკების ქარხანას, სადაც ბლოკების წარმოების თითქმის ყველა პროცესი ავტომატიზებულია, საექსპლოატაციოდ გადაცემის დღიდან ჯერ ერთხელაც არ შეუსრულებია სახელმწიფო გეგმა. ამის მთავარი მიზეზია შრომის ცუდი ორგანიზაცია, ხელმძღვანელი კადრების ცვალებადობა; მარტო წელს ქარხანას სამჯერ გამოუცვალეს ხელმძღვანელი. დღემდე ისიც კი ვერ მოახერხეს, რომ ორ ცვლად მუშაობაზე გადასულიყვნენ. აგვისტოში ქარხანამ გეგმით გათვალისწინებული 2.650-ის ნაცვლად მხოლოდ 874 კუბმეტრი ბლოკები გამოუშვა.

გასულ ზამთარში რკინაბეტონის ნაკეთობათა ორთქლით გაშრობისათვის ქვანახშირი აკლდათ, ასობით კუბმეტრი დამზადებული ძელფენილი და დაძაბულ-არმირებული მილები გაეყინათ, რითაც კომბინატმა დიდი ზარალი ნახა. ამ მწარე გაკვეთილიდან სათანადო დასკვნას არ აკეთებენ, თავს არ იწუხებენ საწვავის წინასწარ მომარაგებისათვის.

ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დამზადებაში კომბინატის ჩამორჩენა რუსთავის სამშენებლო ობიექტებზე ლითონისა და ხე-ტყის მასალის დიდ გადახარჯვას იწვევს. ამასთან ამცირებს შრომის ნაყოფიერებას და ანელებს მშენებლობის ტემპს. მაგალითად, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს მიმდინარე წლის მარტო აგვისტოში ბეტონის ცენტრალური კომბინატიდან 660 ცალი სხვადასხვა ზომის რკინაბეტონის ძელფენილი უნდა მიეღო, ფაქტიურად კი მხოლოდ 170 ცალი მიიღო.

ასაწყობი რკინაბეტონის კოჭების უქონლობის გამო იმავე სამმართველოს მე-4 სამშენებლო უბნის მე-9 კვარტალში, თვენახევარია შეჩერდა № 1 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ამავე მიზეზით მეორე სართულის დამთავრების შემდეგ ერთ წერტილზე გაიყინა მე-19 კვარტალის № 14 სამსართულიანი სახლისა და მთელი რიგი სხვა ობიექტების მშენებლობა.

მშენებლობისათვის ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების წარმოების განვითარების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილების პასუხად უკანასკნელ ხანს აქ მკვეთრად გაეუმჯობესებინა რკინაბეტონის ფილების გამოშვება. ინჟინერ მ. ნოზაძისა და ოსტატ ლ. პეტრევერსტნიკის ნოვატორული წინადადებით წარმოებაში დაინერგა ჩუქურთმიანი და წიბოვანი ფილების ლია სტენდზე მასობრივად დამზადების ახალი ხერხი, რამაც 10-ჯერ გაზარდა ამ პროდუქციის გამოშვება. დაძაბულ-არმირებული მილების საამქრო შეუდგა ასაწყობი მსხვილი ბლოკების დამზადებას ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლებისათვის.

მაგრამ მიღებული ზომები სრულიადაც არ არის საკმარისი მებეტონეთა წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ბეტონის ცენტრალური კომბინატის კოლექტივმა ძირფესვიანად უნდა გარდაქმნას მუშაობა.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ქარელის რაიონში

ხილის კრეფა საბჭოთა მეურნეობაში

ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში წელს თესლოვანი ხილის დიდი მოსავალია. ხილი მოსაკრეფია 580 ჰექტარზე. 31 აგვისტოს მეურნეობაში დაიწყო ხილის საადრეო ჯიშების კრეფა. კრეფაზე ყოველდღიურად 200 კაცი მუშაობს.

მოკრეფილი ხილის პირველი პartია გაიგზავნება ქალაქ მოსკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

სტანდარტული სახლი სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის

სოფელ სანებლის კოლმეურნეობამ შეიძინა ახალი სტანდარტული სახლი კოლმეურნეობის სპეციალისტებისათვის. სახლში უკვე შეასახლეს კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი, აგრონომი და მიწათმოქმედი.

საკოლმეურნეო ნაგებობანი

სოფელ რუისის, კოლმეურნეობაში, რომელიც ქარელის რაიონში ყველაზე დიდი და მძლავრია, წელს დამთავრდა ტიპური პროექტით 800 ტონა ტევადობის მარცვლეულის საწყობის მშენებლობა. კოლმეურნეობაში აშენდა აგრეთვე 50 ტონა ტევადობის სილოსის ორმო. ჩქარი ტემპით აშენებენ 120 სული მსხვილფეხა პირუტყვის ტევადობის ბოსელს. მშენებლობა 1 ოქტომბრისათვის უნდა დამთავრდეს.

ჩრდილოეთ ოსეთის თეატრის გასტროლები

8 სექტემბერს ქ. სტალინირში საგასტროლოდ ჩამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ქ. ორჯონიკიძის სახელმწიფო ოსური დრამატული თეატრის კოლექტივი, რომელსაც სტალინირის ქ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივთან ერთად გულთბილი შეხვედრა მოუწყო ყალაქის ინტელიგენციამ.

მსახიობთა შორის არიან რსფსრ დამსახურებული არტისტები ვ. თხასპაევი, ბ. ცალიკოვი, ბ. ცირიხოვი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სახალხო არტისტები ს. იკაევი, დ. კარგინოვი და სხვები.

თეატრმა გასტროლები დაიწყო 10 სექტემბერს ტოკაევის „სასიძოებით“.

თეატრი საგასტროლო წარმოდგენებს მართავს სტალინირის ქ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობაში. თეატრი აგრეთვე გასვლითს წარმოდგენებს მოაწყობს ჯავის, ლენინგორის და ზნაურის რაიონის ცენტრებში, აგრეთვე ქალაქებში გორსა და ხაშურში.

თეატრს საგასტროლო რეპერტუარში შეტანილი აქვს თავისი საუკეთესო 8 დადგმა: უ. შექსპირის „ოტელო“ და „მეთორმეტე ღამე“, მინკოს „გვარის დაუსახელებლად“, ტოკაევის „სასიძოები“, გ. პილიევის „ჩერმენი“, დ. თუაევის „ობლების დედა“, „ფასის ოცნება“ და სხვ.

თეატრი საგასტროლო მოგზაურობაში ერთ თვეს დაჰყოფს.

ი. შერაზადაშვილი,
სტალინირის ქ. ხეთაგუროვის სახ. თეატრის მსახიობი.

ფელეტონი

წურგელები

მტკვრისა და არაგვის შესართავთან, მწვანე მინდორში თავი მოეყარათ ძმა-ბიჭებს, ტკბილ პურსა ჭამდნენ... შორს ისმოდა შეზარხოშებული თამადის ელადმერ ყურაშვილის პირფერული სიტყვები:

— მეგობრებო, ამ პატარა სასმისით ბოკალვისოდენა ყანწით.—ავტ.) კვლავ ვადღეგრძელებ ჩვენი სახელოვანი არტელის, ჩვენი შეხმატკბილებული კოლექტივის გამობრძმედილ ხელმძღვანელს...

— მიხეილ ილიჩს მცხეთური ვაშაა! — თავშეუკავებელი შეძახილით სიტყვა შეაწყვეტინა გალეშილმა მიხეილ სებუამ.

— გულისხმიერ მეგობარს, მარიფათიან, შანსიან კაცს, ჩვენს აღმზრდელს მიხეილს მრავალჟამიერ...—ამ სიტყვებთან ერთად გიორგი ზანდუკელმა ვეება ყანწი მოიყუდა. ძმა-ბიჭებმა ბოლოს ერთხმად შემოსძახეს:—ჩვენ რომ ვლოთობთ, თქვენ რას გიშლით, ძმობილო!..

გვიშლიან, გვიშავებენ და როგორ!—მოგახსენებთ. არტელ „ახალშენის“ თავმჯდომარე მიხეილ ილიას-ძე ბათაშვილი ხშირად ამბობს: უპატრონო ცხვარი ყოველთვის კარგად იკრეჭებაო. თავისი სიტყვის პატრონაა, არტელს კრეჭავს, ძარცავს. სწორედ იმ დღესაც სპეციალური მივლინებით წასული „ახალშენის“ ღვინის წერტის გამგე ვ. ყურაშვილი და დამამზადებელი გ. ზანდუკელი თელავიდან დაბრუნდნენ, პირნათლად შეუსრულეს ბათაშვილს კომბინირებული მითითება: მცხეთის ბანკიდან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისათვის გამოტანილი 16.000 მანეთით თელავში ლტრი ღვინო 6 მანეთად შეიძინეს, მცხეთაში მოიტანეს, მტკვარშეუზავებელი ღვინით თვითონ იქეიფეს, ხოლო წყლით შეზავებული ლიტრი 10 მანეთად „მეორხარისხოვან“ მუშა-მოსამსახურეებს ხელფასის ანგარიშში მისცეს...

რა ენაღვლებათ, სპეკულანტურ კომბინაციებს აწყობენ, ილეშებიან და დუდუკაც როცა სურთ და როგორც სურთ, ისე უკრავენ. მიხეილს ჭირში და ლხინში ამყოლმა მეგობრებმა კულაშელი კვაჭი, „ქაფიანი ოპერაციების“ ოსტატი უწოდეს, ის ერთხელ გაზომავს, ათჯერ მოსჭრის. ვინმე იაკობ აზარაშვილს, მოლარე ნუნუ სიმონიშვილს, პარიკმახერ ოოსებ დალაქიშვილს და ბევრ სხვას თავის სიცოცხლეში არტელის სახლის ასაშენებლად არ უმუშავნიათ, სამაგიეროდ მათი გვარები ხელფასის ყალს უწყისში აღმოჩნდა. მიხეილმა ათასობით მანეთი ჩაიჯიბა, მეგობრებს პატარა ლუკმა გადუგდო, თან წაიბუტბუტა: ისეც ხდება — მელიას კუდის მოქნევა ზოგჯერ ქათმებს თვალებს დასთხრისო!

„ახალშენის“ სახერხი ქარხნის გამგე მიხეილ სებუა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არტელის ქონება ფლანგოს და დიდ მიხეილსაც თავისი ულუფა მიუნილოს.

— ცხვარი რას ჩამოუშვი? ძვირი გგონია არტელის ხე-ტყე? თითო ფიცარს ოთხი კაცი შეეყურებთ, ხომ იცი — კოღოსაც თავისი მუცელი აბზუებს... — მოურიდებლად ეუბნებოდა სებუა მოქალაქე ს. დალაქიშვილს. როგორც იქნა, მოურიგდა, არტელს რვა კუბმეტრ ხე-ტყეში 5.000 მანეთი გამოსცინცლა. ღღითიდღე მცირდებოდა ხე-ტყის მარაგი ქარხანაში, სამაგიეროდ ღღითიდღე იზრდებოდა ორი მიხეილის თაღლითობა და ჭამის მადა.

ერთხელ კულაშელ კვაჭს კინაღამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ძლივს გაბედეს და პროკურატურაში მის მიმართ საქმე შეადგინეს. დატრიალდა მიხეილი. ნემსის ყუნწში ჯერ აქლემი გაეძვრინა, შემდეგ თითონ მიჰყვა. მალე თავშვებული, გაიძვერა მიხეილი ახალ ბოროტებას სჩადის. აი თბილისში, შუადღისას, სამგორის ტუჩაზე მოქალაქე ა. კაზაროვის ესტუმრნენ.

— თქვენ გსურთ ჩვენი წინსვლა, ჩვენი გამარჯვება? — მკაცრად დაუსვეს კითხვა.

— ცხადია! — მტკიცედ უპასუხა დამბეზღარმა.

— მომზრე ხარ, გავმაგრდეთ?!

— რა თქმა უნდა!

— მაშ, გეთაყვა, ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტზე, თქვენი ხელმოწერა გვაჩუქეთ, მასპინძელმა სუფთა ქაღალდზე კმაყოფილებით მოაწერა ხელი. მოსულები ახლა მეორეს, მესამეს მიადგნენ... საღამოს მიხეილი სიხარულით ცასა სწვდებოდა. ათიეულ ათასობით განიავებული ქონების დასაფარავად შექმნეს სიყალბის ტბა. თითქოს მოქალაქე ა. კაზაროვმა ამუშავა არტელის კაკლისა და თხილის გასუფთავებაზე და მიიღო 842 მანეთი, მეორე მეზობელმა ათასი, მესამემ ათას ასი და ა. შ.

კულაშელი კვაჭის მიმართ შექმნილი ოთხტომიანი საქმე რატომღაც თბილისის ლენინის რაიონის პირველი უბნის სასამართლოში წაასვენეს, მაგრამ საქმე ისე წარიმართა რომ დამნაშავე, დაზარალებული და მოწმეც შრალზე გამოიყვანეს. ამას მოჰყვა კვლავ ახალი კომბინაციები, ქეიფი, ლოთობა, ხოლო ლოთობამ ბოროტების ახალი ყლორტი გამოიბა.

ჩვენ ბედისა არა ვიცით რა, მაგრამ პარტიის მეცხეთის რაიკომის ძველმა ხელმძღვანელებმა ბათაშვილს რომ მამობრივი მზრუნველობა გაუწიეს, ეს სინამდვილეა. როგორც კი მიხეილი მორიგი პატიმრობიდან გამოძვრა, იმავე არტელის თავმჯდომარედ დაიწყო მუშაობა, თითქოს შვებულებიდან დაბრუნებულიყოს.

საერთოდ, თუ ვინმე მიხეილს სწყალობს, არც ის სტოვებს უპატიცემლოდ. მცხეთის რაიონის პროკურორის თანაშემწეს ს. მიხეილაშვილს მეავე ღვინო გორიდან მცხეთაში ჩამოუტანა, გაუყიდა. როგორც ჩანს, საერთო საქმეში მთვლემარე მძინარაშვილს პირადი საქმისათვის არ სძინებია.

ბოროტმომქმედი მიხეილი სხვადასხვა სტამბური ანაბეჭდითაც კი ახერხებდა თვითრეკლამას, ვითომ პატიოსანი კაცი ყოფილიყოს...

მცხეთელმა მშრომელებმა ამ კომბინატორებს სამართლიანად წურბელები შეარქვეს. სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სხვადასხვა კავშირის ცრუ-ზიდიუმის თავმჯდომარე ა. ივანიძე) და რაიონის ხელმძღვანელებს დღემდე დამამშვიდებელი აქტებისა და უბრალო რეკომენდაციების მეტი არა გიუკეთებიათ რა. რაიონის მილიცია-პროკურატურის ორგანოები ხომ მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიან. წურბელებმა თავიანთი ბნელი საქმე იმით დაგვირგვინეს, რომ არტელ „ახალშენს“ სისხლი გამოსწოვეს, დაიუძლურეს...

გვახსენდება კულაშელი კვაჭის დევიზი: უპატრონო ცხვარი ყოველთვის კარგად იკრეჭებაო!

ვფიქრობთ, გათავხედებულ კომბინატორებს და მათ ხელისშემწყობებს სათანადოდ „გაკრეჭენ“.

ა. გოცირიძე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სპექტაკლი — ბალეტი „მშვიდობისათვის“, ფინალური სცენა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები სოჭში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლებმა სოჭში, რაც თვეზე მეტს გაგრძელდა, დიდი წარმატებით ჩაიარა.

საოპერო და საბალეტო სპექტაკლების უმრავლესობა, რომლებიც თეატრმა სოჭში უჩვენა, მომზადებული იყო უკანასკნელი წლების მანძილზე.

მდიდარი, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო თეატრის საგასტროლო რეპერტუარი, მასში ფართოდ არის წარმოდგენილი რუს, უკრაინელ, ქართველ და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორთა შემოქმედება. სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ახორციელებს რა კლასიკურ ნაწარმოებთა დადგმებს, თეატრი ამავე დროს გაბედულად და, რაც მთავარია, სისტემატურად მუშაობს ახალი სპექტაკლების შექმნაზე მოწინავე საბჭოთა კომპოზიტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის ვენეციურმა ოპერებმა „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. ამ დადგმებში ფართოდ არის გამოყენებული თეატრის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები, რამაც შესაძლებლობა მისცა თეატრს შეექმნა მაღალხატვრული, დამაჯერებელი სპექტაკლები.

„აბესალომ და ეთერს“ წარმტაცი დინამიკური სიუჟეტი აქვს. მაგრამ სპექტაკლის დამდგმელი რსფსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ი. თუმანიშვილი შეგნებულად არ წასულა გარეგნული გართობის მიმართულებით. სპექტაკლის შთაბეჭდილი გადაწყვეტილია ძლიერი ვნებების, დიდი ადამიანური ხასიათების შეჯახებით, რამაც საშუალება მისცა დამდგმელს მკაფიოდ გაესვა ხაზი ოპერის რომანტიკული ასახვისათვის, მისი მონუმენტალობისათვის.

ზ. ფალიაშვილის მუსიკალური წერის საუუძველს წარმოადგენს ფართო, უსაზღვრო მელოდია, რომელიც სრულ თავისუფლებას უქმნის მომღერალს და მოითხოვს მისგან ხმის სრულყოფილად დაუფლებას ყველა რეგისტრში.

მსახიობი ზ. ანჯაფარიძე ქმნის აბესალომის მომხიბვლელ, ეაკაკაცურ სახეს, მკაფიოდ გადმოსცემს მის განწყობილებათა ცვლას.

ეთერის პოეტური სახე შექმნა ახალგაზრდა მომღერალმა თ. თაქთაქიშვილმა, რომელსაც საუცხოო ტემბრის, ფართო დიაპაზონის ხმა აქვს. საჭიროა მაინც აღინიშნოს, რომ საშუალო რეგისტრში ერთი ხასიათის ხმოვანთა უკონტროლოდ წარმოთქმის დროს მომღერალი უშვებს არასასურველ სიჭრელეს.

ვერაგი ვეზირის მურმანის რელიეფურ და ღრმად მართალ სახეს სრულყოფილად ხატავს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. კრავეიშვილი.

მეფე აბიის კეთილშობილურ სახეს ქმნის ლამაზი, ძლიერი ბანის მქონე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. გრიგორაშვილი.

კარგ შთაბეჭდილებას ქმნიან რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ხარაძე მარიხის როლში, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ხიჯაკაძე (ნათელა), გ. ტორონჯაძე (მხედართუფროსი) და სხვები.

მშვენივრად ეღერდნენ გუნდები, რომლებიც საერთოდ მთელი ოპერის მშვენებად უნდა ჩაითვალონ.

ოპერის დადგმაში მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ღვაწლი მიეძღვის თეატრის მთავარ დირიჟორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ო. დიმიტრიადის. ორკესტრი მისი ხელმძღვანელობით ეღერს მწყობრად, ემოციურად, მკაფიოდ გადმოსცემს ღრმა გრძნობებს, რომლებიც ჩაქსოვილია მუსიკაში.

სპექტაკლი „აბესალომ და ეთერი“ მაყურებლებმა აღფრთოვანებით მიიღეს. არანაკლები წარმატება მოიპოვა ზ. ფალიაშვილის მეორე შესანიშნავმა ოპერამ „დაისმა“, რომელიც „აბესალომ და ეთერთან“ ერთად მსოფლიოს საოპერო კლასის ოქროს ფონდში შედის.

ლირიკულად, შთაგონებულად ასრულებს მალხაზის ბერის როლს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჩაკალიდი, რომელსაც დიდი დიაპაზონის ტენორი აქვს. განსაკუთრებული გამომეტყველებით მღერის მომღერალი მალხაზის არიას საკვდილის წინ.

კარგად ასრულებს მაროს პartიას ახალგაზრდა მომღერალი ნ. მიქელაძე. მისი ხმა გამოირჩევა ლამაზი, თბილი ტემბრით, მომღერალს შემდგომი შემოქმედებითი ზრდის ყველა შესაძლებლობა აქვს.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბ. კრავეიშვილი, რომელმაც კიაზოს პartია შეასრულა, აღწევს მუსიკალური და სცენიური სახის სრულ შეერწყმას, დიდ მხატვრულ სიმართლეს. ბ. კრავეიშვილის ხმა გამოირჩევა მშვენიერი ტემბრით და დიდი დინამიკური შესაძლებლობებით.

კარგად ეღერდნენ ოპერაში გუნდები (გუნდის ხელმძღვანელი რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. ტერიშვილი). მშვენივრად დადგმულია ცეკვები (ბალეტმეისტერი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჯავრიშვილი), რომლებიც შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ე. საფაროვამ და გ. ბარხუდაროვმა, მსახიობებმა ი. ორჯონიკიძემ და ს. ნონიაშვილმა.

მეტყველად ეღერს ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის დირიჟორ დ. მირცხულავას ხელმძღვანელობით. მთელ სპექტაკლში ოვრჩობა დამდგმელის რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ა. წუწუნავას გამოცდილი ხელი.

დიდ ინტერესს წარმოადგენს „ეკგენი ონეგინის“ ახალი დადგმა თბილისის თეატრის სცენაზე. სპექტაკლის რეჟისორი ბელორუსიის სსრ სახალხო არტისტი ბ. პოკროვსკი, დირიჟორი რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი და შემსრულებლები მიისწრაფოდნენ რაც შეიძლება ღრმად გაეხსნათ ამ გენიალური ოპერის მთანაფიქრი, შეექმნათ მკაფიო, რეალისტური, ნამდვილად ლირიკული სპექტაკლი. ამ რთული ამოცანის გადაწყვეტის დროს დამდგმელმა და შემსრულებლებმა შეძლეს აესახათ მემამულეურ-პატონყმური რუსეთის სწორი სურათი, დაესახათ ოპერის ძირითად პერსონაჟთა ხასიათების განვითარების სწორი ხაზი, დაეძლიათ ის შტამპები, რაც ამ ოპერის დადგმის დროს ტრადიციულად გამხდარა.

შესანიშნავად არის გადაწყვეტილი ტატიანას სახე (რესპუბლიკის სახალხო არტისტი ე. გოსტენინა). ჩვენ ვხედავთ არა მარტო ახალგაზრდა მეოცნებე ქალიშვილს, არამედ თავისუფალი ნების ადამიანს, რომელიც განუზომლად მაღლა დგას მის ირგვლივ მყოფ საზოგადოებაზე, ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს წერილის სცენა — ოპერის ძირითადი დრამატურგიული კვანძი — ამ სცენაში რეჟისორმა მკაფიოდ გამოავლინა ტატიანას რომანტიკული ბუნების თვისებები, რამაც განვითარება ჰპოვა შემდგომ სცენურ მოქმედებაში. ახალგაზრდა მსახიობმა ორჯონიკიძემ ამავე როლში ნათელყო თავისი ბრწყინვალე ვოკალური მონაცემები.

ონეგინის სახე სპექტაკლში შესანიშნავად არის მონახული ბ. კრავეიშვილის მიერ როგორც ვოკალური, ისე სცენიური თვალსაზრისით. ამ როლის მეორე შემსრულებელმა ახალგაზრდა მომღერალმა შ. კიკნაძემ დიდი ყურადღება მიაქცია პartიის ვოკალურ სიძნელეთა დაძლევას. კარგმა სცენიურმა გარეგნობამ და ლამაზმა ხმამ შესაძლებლობა მისცა მას დასამახსოვრებელი სახე შეექმნა.

ა. ჩაკალიდამ წარმატებით დაძლია ლენსკის სახის შექმნის დროს დამკვიდრებული ზოგიერთი შტამპი. გამომსახველად ასრულებს ამავე პartიას ახალგაზრდა მომღერალი თორელი, რომელსაც ლამაზი, ფართო დიაპაზონის ლირიკული ტენორი აქვს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა მომღერალმა ა. პირკუსმა, რომელმაც შეასრულა გრემინის პartია.

კარგად ასრულებს ოლგის პartიას ლამაზი ხმისა და კარგი სცენიური გარეგნობის მქონე ახალგაზრდა მომღერალი ტ. მალიშევა.

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი სპექტაკლის მსახიობური სცენები. ლარინებისას ბალის სცენა დადგმულია ცოცხლად და წარმტაცად. ამ სცენაში რეჟისორმა ბ. პოკროვსკიმ ბევრი მახვილგონიერება და გამომგონებლობა გამოავლინა.

„ეკგენი ონეგინის“ დადგმა თეატრის შემოქმედებითი კოლექტივის უდაო გამარჯვებაა.

მაღალი გემოვნებით და დეტალების ფაქიზი დამუშავებით გამოირჩევა სპექტაკლები „აიდა“ და „რიგოლეტო“, რომელშიც მკაფიოდ გამოავლინა თავისი დიდი ვოკალური ნიჭი სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. ამირანაშვილმა. მას მშვენიერი, მძლავრი ბარიტონი აქვს, რომელიც განსაკუთრებული სიმძლავრით ეღერს მაღალ რეგისტრებში. ბ. ამირანაშვილის მიერ შექმნილი რიგოლეტოს და მეფე ამონასროს სახეები დიდი ფსიქოლოგიური სიღრმითა და გამომსახველობით განირჩევა.

ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლ. გიორგაძემ, რომელმაც შეასრულა ამნერისის რთული პartია ვერდის ოპერა „აიდაში“. ლ. გიორგაძე ნიჭიერი და დიდი იმედების მომცემ საბჭოთა ხელოვანთა რიგს ეკუთვნის. მისი ხმა გამოირჩევა სილამაზით, სიმძლავრით, ისეთი თვისებებით, რომლებიც საშუალებას აძლევენ ერთნაირი წარმატებით შეასრულოს როგორც ლირიკული, ისე უაღრესად დრამატული პartიები.

„აიდაში“ ე. გოსტენინამ შესანიშნავად შეასრულა აიდას რთული პartია.

განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან თეატრის ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებსაც ამჟამად სხვადასხვა პროფესიული მომზადება აქვთ და ახლო მომავალში თეატრის სრულფასოვან ძალებათ იქცევიან.

ოპერა „რიგოლეტოში“ ჯილდას პartიისა და დილბის ოპერა „ლაქმეში“ ლაქმეს პartიის შემსრულებელს მ. ნაკაშიძეს ლამაზი ხმა და კარგი კოლორატურული ტექნიკა აქვს. მაგრამ მომღერალს მუშაობა მართებს საშუალო რეგისტრის განმტკიცებისათვის, კანტილენის მოღერვისათვის.

თეატრისათვის ძვირფასი მუშაკია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. ბელაქნელი, რომელიც ასრულებს დრამატული ტენორის პartიებს. მის მიერ შექმნილი რადამესის სახე სისადავითა და მასშტაბულობით განირჩევა.

კარგად ძლევს ჰერცოგის პartიის ვოკალურ სირთულეს („რიგოლეტო“) მომღერალი ა. ლიტოვსკი.

წერილი რედაქციას

გვეცნობა — ... ...

ყურძნის პროდუქტებს შორის ყურადღებას იპყრობს თონეში გამხმარი ყურძენი ანუ ჩამიჩი. იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვისა და უწინარეს ყოვლისა ჩვენი მომავალი ბედნიერი თაობის — ბავშვებისათვის მეტად სასარგებლო პროდუქტია.

კომუნისტური პartია და საბჭოთა მთავრობა დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ამაღლებისათვის, მათი სიკეთის გამრავლებისათვის. კვების პროდუქტებზე მშრომელთა მზარდი მოთხოვნილება რომ დავაკმაყოფილოთ, მეტი ჩამიჩი, ყურძნის ყვავი, სხვადასხვა ასორტიმენტის ჩურჩხელა და ყურძნის სხვა დიდად სასარგებლო პროდუქტები უნდა დავამზადოთ. საამისოდ საქართველოში დიდი შესაძლებლობაა. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ეს შესაძლებლობანი ძალიან ცუდად არის გამოყენებული. საკომერციო ნაზრებსა და სახელმწიფო მაღაზიებში მყიდველი ძალიან იშვიათად და ისიც მცირე რაოდენობით თუ შეხვდება ჩამიჩს. მე შვიდი შვილის დედა ვარ და მსურს, რომ ბედნიერმა დედებმა თავიანთ შვილებს უხვად მიაწოდონ ჩამიჩი. საკვირველია, რომ ისეთი დიდი სამეურნეო ორგანიზაცია, როგორც სამტრესტია, რატომღაც არ არის დაინტერესებული, რომ დიდი რაოდენობით მზადდებოდეს ჩამიჩი, ფელამუშის კვერები, ჩურჩხელები. ურიგო არ იქნება ტკბილი ტყლაპის დამზადებასაც მივყოთ ხელი.

საქართველოში ცოტას ინახავენ ყურძენს ზამთრისათვის. ეს ნაკლიც უნდა გამოვასწოროთ.

წელს ჩვენი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყურძნის დიდ მოსავალს იღებენ. რთველი კარს მოგვადგა. მალე იგი მასობრივად გაჩაღდება. ამას წინათ დავათვალიერე დიდმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა და დავრწმუნდი, თუ რა დიდი შესაძლებლობა გვაქვს ჩვენი ბავშვებისათვის ჩამიჩის უფრო ფართო მასშტაბით დამზადებისათვის.

ვაყენებ საკითხს, რომ ეს მდგომარეობა გაითვალისწინონ საქართველოს ყურძნის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა და სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ჩამიჩის და ყურძნის სხვა პროდუქტების დამზადებას. ამას მოითხოვს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების ინტერესები, ამას მოითხოვს ჩვენი ბავშვების ინტერესები.

დიასახლისი ვ. გუგუნავა.

გამოუქვეყნებელი წერილების ქვალდაქვალ

რედაქციისათვის გამოგზავნილ წერილში მოიხსენიებელი წერდა, რომ მახარაძის რაიონის ლათურის მუშათა კოოპერატივის ინასეულის ინსტიტუტის სასადილოში ანტისანიტარიაა, ყიდიან უფაქტურო პროდუქტებს, მომხმარებელს უხეშად ეპყრობიან და სხვ.

როგორც მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. საბაშვილი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. სასადილოს გამგე შ. მოლარიშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო მზარეულ ა. აკორიანს საყვედური გამოეცხადა.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ... ...

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ჩვენს ქვეყანაში პირველმა დიდგა რუსულ ენაზე უკრაინელი დრამატურგის დანკევიჩის ოპერა „ბოგდან ხმელნიცკი“. ყველაფრიდან ჩანს, რომ თეატრის კოლექტივი უდიდესი სიყვარულით მუშაობდა სპექტაკლზე (დირიჟორი ო. დიმიტრიადი, რეჟისორი უკრაინის სსრ დამსახურებული არტისტი და საქართველოს სსრ ხელოვ

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დამტკიცება

პეკინი, 10 სექტემბერი. (საკ.). სინხუას სააგენტო გადმოგცემს: 9 სექტემბერს ცენტრალურმა სახალხო მთავრობის საბჭომ თავის 34-ე სხდომაზე განიხილა და დამტკიცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის შესწორებული პროექტი.

კონსტიტუციის ეს პროექტი განსახილველად წარედგინება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიას.

შესწორებანი შეიტანა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შემმუშავებელმა კომისიამ მას შემდეგ, რაც შეისწავლა ის მოსაზრებანი, რომლებიც კონსტიტუციის პროექტის განხილვის მსვლელობაში გამოთქვეს მთელი ჩინეთის ხალხთა მასებმა და სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატებმა.

საბჭოთა მეცნიერების მოხსენებები მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე

ჰაიგა, 10 სექტემბერი. (საკ.). ამსტერდამში მუშაობა დაამთავრა მათემატიკოსთა 1954 წლის საერთაშორისო კონგრესმა. საბჭოთა მეცნიერებმა — აკადემიკოსმა პ. ს. ალექსანდროვმა, პროფესორმა ს. მ. ნიკოლსკიმ და აკადემიკოსმა ა. ნ. კოლმოგოროვმა კონგრესზე გააკეთეს მოხსენებები და ინფორმაციები. ამას გარდა, კონგრესზე წაკითხულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გელფანდის მოხსენება.

კონგრესის მუშაობის უკანასკნელ დღეს პლენარულ სხდომაზე აკადემიკოსმა კოლმოგოროვმა წაკითხა მოხსენება თემაზე „დინამიკური სისტემების ზოგადი თეორიები და კლასიკური მექანიკა“.

საბჭოთა მეცნიერების ყველა მოხსენება კონგრესის დელეგატებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

გაზეთი „დე ფოლკსკრანტი“, აღნიშნავს რა საბჭოთა მეცნიერების მოხსენებათა მნიშვნელობას, წერს, რომ მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესის უკანასკნელი დღე „მეცნიერული თვალსაზრისით რუსების დღე იყო“.

„ირანის დამონება 40 წლით...“

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკ.). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, 9 სექტემბერს შაჰისა და უმაღლესი სასამართლოსათვის გაგზავნილ წერილში ირანის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა მოსადეგმა, რომელიც ახლა პატიმრობაშია, ახალ შეთანხმებას ირანის ნავთობის შესახებ ერის „შეურაცხყოფა“ უწოდა. მოსადეკი აცხადებს, რომ ეს შეთანხმება მოასწავებს „ირანის დამონებას 40 წლით“.

გომინდანელთა პროვოკაციები გრძელდება

პეკინი, 11 სექტემბერი. (საკ.). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, გუშინ 5 საათსა და 40 წუთზე ჩანკაიშელთა თვითმფრინავი შეიჭრა ამოის სატერო სივრცეში და ჩამოაგდო 9 ბომბი. საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო ერთი თვითმფრინავი, დანარჩენი თვითმფრინავები მიიმალნენ.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 10 სექტემბერი. (საკ.). დღეს გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც მოწვეულია ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის თხოვნით. 8 სექტემბრის წერილში ლოჯი თხოვდა საბჭოს განიხილოს შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული ბრალდება, რომ თითქოს ორი თვითმფრინავი საბჭოთა გამოსაცნობი ნიშნებით თავს დაესხა ამერიკის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავს „საერთაშორისო წყლებზე“ სივრცეში.

საბჭოთა წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი წინააღმდეგია, რომ ეს საკითხი შეტანილ იქნას უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში, რამდენადაც ლოჯის წერილში მთელი ინციდენტი განზრახ დამახინჯებულია პროვოკაციული მიზნებით.

მიუგონია რა სხდომას ამ ინციდენტთან დაკავშირებული ფაქტები, ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის თვითმფრინავი შეიჭრა საბჭოთა ტერიტორიაზე; ორი საბჭოთა თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა, რათა გაეფრთხილებინა ამერიკის თვითმფრინავი ამ დარღვევის შესახებ, ამერიკის თვითმფრინავმა სროლა აუტეხა საბჭოთა თვითმფრინავებს, და მხოლოდ ამის შემდეგ საბჭოთა თვითმფრინავებმა დაიწყეს საპასუხო სროლა.

ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები 6 სექტემბრის ნოტაში საბჭოთა კავშირისადმი ამტკიცებდნენ, რომ მათს თვითმფრინავს სროლა არ აუტეხია საბჭოთა თვითმფრინავებისათვის; მაგრამ 7 სექტემბერს გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ დაბეჭდა ამერიკის თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრთა განცხადება, რომლებიც აღიარებენ, რომ მათ სროლა აუტეხეს საბჭოთა თვითმფრინავს.

როგორც ვიშინსკიმ აღნიშნა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთ 6 სექტემბრის ნოტაში საბჭოთა კავშირისადმი განაცხადეს, რომ ინციდენტი მოხდა პუნქტში, რომელიც მდებარეობს ვლადივოსტოკის აღმოსავლეთით 100 მილზე და ციმბირის ნაპირებიდან 44 მილის მანძილზე. რუკა გვიჩვენებს, თქვა ვიშინსკიმ, რომ ეს მოხდა არა ღია ზღვაში, არამედ საბჭოთა ტერიტორიაზე. ეს ინციდენტი, ისევე როგორც ამერიკის თვითმფრინავებთან დაკავშირებული წინანდელი ინციდენტები, თავისთავად წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის უხეშად დარღვევას შეერთებული შტატების მიერ. ცხადია, განაცხადა ვიშინსკიმ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დაამახინჯა ფაქტები, რათა დანაშაული მოეხსნა დამნაშავისათვის და თავს მოეხვია იგი უდანაშაულოსათვის. დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანა მხოლოდ ხელს შეუწყობს დაძაბულობის გაძლიერებას შორეულ აღმოსავლეთში.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო შეტანილ იქნა უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში.

ნიუ-იორკი, 11 სექტემბერი. (საკ.). გუშინ უშიშროების საბჭოს დღის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა საკითხისა ეგრეთწოდებული „თავდასხმის“ შესახებ, რაც თითქოს განიცადა ამერიკის თვითმფრინავმა ორი საბჭოთა ავიაგამანადგურებლის მხრივ 4 სექტემბერს ოსტროვნოის კონცხის რაიონში — საბჭოთა ნავსადგურ ნახოდკის აღმოსავლეთით. ეს საკითხი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ.

ინგლისის, საფრანგეთის, ახალი ზელანდიის, ეკვადორის, კოლუმბიის დელეგატებმა და გომინდანელმა მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ლოჯის ვერსიას, ამასთან არავითარი საბუთი არ მოუყვანიათ ამ უსაფუძვლო ვერსიის დასამტკიცებლად. ინგლისის დელეგატი დიქსონი დასჯერდა მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა თითქოს მოიყვანა „დამაჯერებელი დამამტკიცებელი საბუთები“. საფრანგეთის დელეგატი ოპენო, რომელმაც მხარი დაუჭირა ამერიკის ვერსიას, იძულებული გახდა დაეშვა, როგორც მან თქვა, იმის შესაძლებლობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავმა დაარღვია სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარი.

ბრაზილიის დელეგატი მოერიდა თავისი აზრის გამოთქმას და, გამოთქვა რა მწუხარება ინციდენტთან დაკავშირებით, მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს ერიდონ ასეთი შემთხვევებს მომავალში.

დანიის წარმომადგენელმა ბორბერგმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ყურადღებით შეისწავლის ცნობებს, რომლებიც ა. ი. ვიშინსკიმ წარმოადგინა ამერიკის თვითმფრინავთან ინციდენტის საკითხზე. მან მოწოდებით მიმართა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის მთავრობებს გამოძებნონ იმის გზები, რომ მომავალში აღარ დაუშვან ასეთი ინციდენტები, გაუძჯობესონ ურთიერთობა, იცხოვრონ მშვიდობიანად და აწარმოონ მშვიდობიანი მოლაპარაკება.

შემდეგ გამოვიდა ა. ი. ვიშინსკი. მან ცხადყო იმ დელეგატების არგუმენტაციის უნიადაგობა, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის ვერსიას ოსტროვნოის კონცხის რაიონში მომხდარი ინციდენტის შესახებ.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ლოჯმა განაცხადა, რომ სსრ კავშირის წარმომადგენელი თითქოს ცდილობს უშიშროების საბჭოში დაიცვას ღია წყლებში თვითმფრინავების ჩამოგდების უფლება.

ა. ი. ვიშინსკის, რომელმაც კვლავ აიღო სიტყვა, აღნიშნა ლოჯის განცხადების აბსურდული ხასიათი და დელეგატების ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ უშიშროების საბჭოში ამ საკითხზე ყველა თავის გამოსვლაში საბჭოთა დელეგაცია ამტკიცებდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო თვითმფრინავის მიერ საბჭოთა საზღვრების დარღვევას, რასაც ღია წყლებში მოქმედების საკითხთან საერთო არა აქვს რა.

უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურა და განაცხადა, რომ საბჭოს შემდეგი სხდომა ამ საკითხზე მოწვეულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დელეგაცია ამას ითხოვს, თავმჯდომარის განცხადებიდან გამომდინარეობს, რომ, როგორც ჩანს, ამერიკის დელეგაცია არ აპირებს კვლავ შეეცადოს გამოიტანოს ეს საკითხი უშიშროების საბჭოს განსახილველად.

ინდონეზიის ქალთა დელეგაცია სსრ კავშირში მოგზაურობის შესახებ

ჯაკარტა, 10 სექტემბერი. (საკ.). პრესაში გამოქვეყნდა განცხადება ინდონეზიის ქალთა დელეგაციისა, რომელიც სსრ კავშირიდან დაბრუნდა. დელეგაცია უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამს საბჭოთა კავშირში ყოფნით. „საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაცნობის შემდეგ ჩვენ დარწმუნდით, რომ საბჭოთა კავშირში ყველაფერს აკეთებენ, რაც კი საჭირო ადამიანის ბედნიერებისათვის“, — ნათქვამია განცხადებაში. დელეგაცია აღნიშნავს, რომ საბჭოთა ქალები დიდ როლს ასრულებენ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში“. „სსრ კავშირის მთელი ხალხი და მთავრობა აქტიურად უჭერენ მხარს მშვიდობას. მშვიდობის იდეა საყოველთაოა“. „სსრ კავშირის ხალხებმა უდიდესი წარმატებები მოიპოვეს ახალი ცხოვრების მშენებლობაში“, — აცხადებს დელეგაცია.

სპორტის ამგეგი

მსოფლიო გუნდური პირველობა ჭადრაკში

ამსტერდამი, 10 სექტემბერი. (საკ.). (საკ.). 9 სექტემბერს გაიმართა მორიგი მეოთხე ტური ყველა ნახევარფინალურ ჯგუფში.

სსრ კავშირის გუნდი ეთამაშებოდა ჰოლანდიელ მოჭადრაკეებს. ეს შეხვედრა მრავალრიცხოვანი მაყურებლის ყურადღების ცენტრში იყო. პირველ დაფაზე ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის მოწინააღმდეგენი — მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი და ექს-ჩემპიონი ეივე. ჰოლანდიელმა გროსმაისტერმა აირჩია ნიმცოვიჩის დაცვა და მიიღო ერთერთი ის ვარიანტი, რომელსაც ძალიან ხშირად ვხვდებით უკანასკნელი წლების პასუხსაგებ შეჯიბრებებში. დებიუტის შემდეგ ბოტვინიკს კარგი მდგომარეობა ჰქონდა ცენტრში და ჰყავდა ორი რკუ. მაგრამ ეივე სიძნელეს არ განიცდიდა ძალების განეთავრებაში. ამან საშუალება მისცა მას მიეღო კონტრთამაში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა 21-ე სვლაზე შესწირა პაიკი და თავისი ფიგურებით აქტიური პოზიცია დაიკავა. ამრიგად, ბოტვინიკმა მცირე მატერიალური უპირატესობა აინაზღაურა შავი ფიგურების კარგი პოზიციით. ოცდამეცხრე სვლაზე ბოტვინიკის წინადადებით პარტია ყაიმით დამთავრდა.

დონერ-სმისლოვის პარტიაშიც გათამაშებულ იქნა ნიმცოვიჩის დაცვა, მაგრამ ბრძოლა უფრო მშვიდად მიმდინარეობდა. სმისლოვმა შეძლო რამდენადმე უკეთესი მდგომარეობის მიღწევა შუა თამაშში. მაგრამ ჰოლანდიელი ოსტატის ზუსტი თამაშის შემდეგ მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ბრონშტეინმა პარტიის დასაწყისში კორტლევერის წინააღმდეგ მინიმალურ პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. თავისი მდგომარეობის მეთოდიური გაძლიერებით ბრონშტეინმა შუა თამაშში მნიშვნელოვანი უპირატესობა მიიღო და 33-ე სვლაზე გამარჯვება მოიპოვა.

პრინს-კოტოვის პარტია გადაიდო.

რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება

9 სექტემბერს მოსკოვში სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში გაიმართა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ქალაქ მოსკოვის ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში.

შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია. კულტურის სასახლეში ასობით მაყურებელი მოვიდა. რუმინეთის მოჭიდავეთა გუნდი ერთერთი უძლიერესია. მან მესამე ადგილი დაიკავა სტუდენტთა XII მსოფლიო ასპარეზობაზე.

შეჯიბრება დამთავრდა ანგარიშით 8:0 მოსკოველთა სასარგებლოდ. (საკ.).

ბულგარელი და საბჭოთა ფეხბურთელების შეხვედრა

სოფია, 11 სექტემბერი. (საკ.). გუშინ სოფიის ვ. ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში კიევის „დინამოს“ გუნდსა და სოფიის ნაკრებ გუნდს შორის.

თამაში დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2. ასპარეზობას დაესწრნენ ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვიოკო ჩერვენკოვი, სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. დიმიტროვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, წევრები საბჭოთა მთავრობის დელეგაციისა, რომლებიც ბულგარეთში ჩამოვიდნენ განთავისუფლების მე-10 წლისთავის ღღესასწაულზე.

ხეზონის გახსნა

მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში

გუშინ თბილისის კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში გაიხსნა 28-ე თეატრალური სეზონი. ამ დღეს წარმოდგენილ იქნა ვ. როზოვის პიესა „ცხოვრების ფურცელი“.

12 სექტემბერს თეატრის ნორჩი მაყურებლები ნახავენ ახალ სპექტაკლს — ა. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა „ლალატს“. პიესის დადგმა განახორციელა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. მარშაკმა, მხატვრულად გაფორმა ი. შტენბერგმა, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა კ. მეღვინეთ-უხუცესმა. მთავარ როლებს ასრულებენ: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ო. ბელინკო, ე. აგალაროვა, ნ. გლობენკო, ლ. რომანოვი, მ. მინეევი, ვ. ურუსოვი.

უახლოეს ხანში თეატრი მაყურებლებს უჩვენებს ახალ დადგმებს — ნ. ვინიკოვის — „მე-9-ა კლასში“, ა. ვოლრადის — „ძველ ინგლისში“, ლ. კასილის — „მოხეტიალე სკოლას“, ვ. გუსევის — „რიბაკოვის ვაჟს“ და სხვ.

თეატრი მიმდინარე სეზონში მნიშვნელოვნად აფართოებს პედაგოგიურ მუშაობას. სკოლებთან შეიქმნება თეატრის მოყვარულთა ჯგუფები, რომლებიც მოაწყობენ სპექტაკლებს ბავშვებს განხილვას, გამართავენ კონცერტებს და განახორციელებენ სხვა მასობრივ ღონისძიებებს. ამ ჯგუფებში შევლენ ბერეთვე თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტები. თეატრში წესრიგის დასამყარებლად წელს პირველად შეიქმნება მოსწავლეთა აქტივი.

თოჯინების რუსულ თეატრში

12 სექტემბერს ლ. ვეპრიცკაიას პიესით „მხსნელი ჯობი“ იხსნება სეზონი თოჯინების რუსულ თეატრში.

თეატრი ამზადებს და მალე ნორჩ მაყურებელს უჩვენებს კ. ჩუკოვსკის პიესას „ექიმ აიბოლიტს ზღაპრები“ და ე. ჩერნიაკის და ე. გოლდის პიესას „ჩანთა, ჩალა, სალამური“.

ყირიმ-კავკასიის ექსპრესის ხაზი

ბათუმი, 11 სექტემბერი. (საქ.). ყირიმ-კავკასიის ექსპრესის ხაზზე შემოღებულია შემოდგომა-ზამთრის განრიგი. გემები ბათუმში მოვლენ და უკან გაბრუნდებიან დღეგამოშვებით. ბათუმიდან ოდესამდე რეისი ფოთში, სოხუმში, სოჭში, ტუაფსეში, ნოვოროსიისკში, იალტაში, სევასტოპოლისა და ევპატორიაში შევლით გაგრძელდება ოთხ დღეღამეზე ცოტა მეტ ხანს.

ყველა გემზე შექმნილია მგზავრობის კარგი პირობები. მგზავრთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი კაიუტები, სალონები დასასვენებლად, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები, სასპორტო დარბაზები.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა ამხ. გ. ვ. სიხარულიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. თ. ა. სხირტლაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა ამხ. ა. ლ. ჩხეტიანი საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

ნეკროლოგი

გრიგოლ ივანეს-ძე გიორგაძე

მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 9 სექტემბერს გარდაიცვალა საბჭოთა მედიცინის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ ივანეს-ძე დიდებულიძე.

გ. დიდებულიძე დაბადა 1898 წელს ქარელის რაიონის სოფელ ატოცში. 1916 წელს დამთავრა თბილისის გიმნაზია. 1918 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დამთავრა 1924 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში გ. დიდებულიძე იჩენდა განსაკუთრებულ მისწრაფებას სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისადმი, რის გამო დატოვებულ იქნა საფაკულტეტო თერაპიის კლინიკაში პროფესორ ა. ალადაშვილთან ორდინატორად.

1926 წელს გ. დიდებულიძე აირჩიეს თერაპიული კლინიკის ასისტენტად. 1938 წლიდან იგი განაგებდა სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კათედრას, პარალელურად იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი. მთელი რიგი წლების მანძილზე გ. დიდებულიძე მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თერაპიული კლინიკის გამგედ.

გ. დიდებულიძე იყო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს თერაპევტთა საზოგადოების პრეზიდიუმის და საქართველოს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, კურორტ ბორჯომის და წყალტუბოს კონსულტანტი.

გ. დიდებულიძის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი სამეცნიერო შრომა შინაგან სნეულებათა აქტუალურ საკითხებზე.

გ. დიდებულიძემ პროფესორ ნ. მახვილაძესთან ერთად დასავლეთ საქართველოში აღმოაჩინა ანკილოსტომიაზის კერა და განახორციელა სათანადო ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის გაჯანსაღებას.

დიდი სამამულო ომის წლებში გ. დიდებულიძე განაგებდა ევაკოჰოსპიტალის თერაპიულ განყოფილებას.

გ. დიდებულიძე იყო სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი, უაღრესად პრინციპული, საქმის ღრმა მცოდნე და გულისხმიერი ამხანაგი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს გ. დიდებულიძის დამსახურებას სამშობლოს წინაშე, იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით და მედლებით.

გ. დიდებულიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების და მოწაფეების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ქურციკიძე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები სოჭში

(დასასრული)

ამ სპექტაკლის მთავარი მხატვრული თვისება ის არის, რომ ვ. ჭაბუკიანი ბალეტის ყველა ეპიზოდს, პანტომიმურ სცენას, დიალოგს, დუეტს გამოხატავს ცეკვის საშუალებით. ბალეტ „გორდას“ დადგმაში ვ. ჭაბუკიანი, ხელმძღვანელობს რა რუსული საბალეტო ხელოვნების ტრადიციებით, ფართოდ იყენებს ხალხურ ქორეოგრაფიულ ინტონაციებს. ვ. ჭაბუკიანმა გორდას სახის შექმნისას თავი გამოიჩინა, როგორც ქორეოგრაფიული ხელოვნების დიდმა ოსტატმა.

მშვენივრად, მეტყველად ასრულებს მეფის ასულ ირმას როლს ვ. წიგნაძე. მის პლასტიკურ, ღრმად ადამიანურ მოძრაობაში, რომელიც გადმოსცემს მაღალ გრძნობებს, გამოსჭვივის დიდი პროფესიული ხელოვნება.

ნიჭიერად ასრულებს გორდას როლს ამ პარტიის მეორე შემსრულებელი ზ. კიკალეიშვილი. მის მიერ შექმნილი სახე სწორად გადმოგვცემს გმირის ხდომ გრძნობებსა და მგზნებარე ტემპერამენტს. ასევე წარმატებით შეასრულა ზ. კიკალეიშვილმა გორდას მეტოქის მამოს როლი. კარგ პროფესიულ ოსტატობას იჩენს ამ როლში აგრეთვე რ. მაღალაშვილი. დიდი სცენიური ტაქტით მიჰყავთ თავიანთი პარტიები ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ივაშკინს და ს. გორსკის.

დირიჟორი დ. მირცხულავა, რომელსაც ბევრი უმუშავნია „გორდას“ პარტიტურაზე, ჭეშმარიტი შემოქმედებითი გაქანებით ხსნის კომპოზიტორის ღრმა თანაფიქრს. ორკესტრი მისი ხელმძღვანელობით მწყობრად, ზუსტად, რიტმულად ეღერს.

სოჭელმა მაყურებელმა დიდი ინტერესი გამოიჩინა ახალგაზრდა კომპოზიტორის დ. თორაძის მეორე ბალეტისადმი „მშვიდობისათვის“. ეს სპექტაკლი მუდამ უდიდესი წარმატებით იდგმებოდა, მაყურებლები მას აღფრთოვანებით ეღებდნენ.

ლიბრეტოს ავტორმა და სპექტაკლის დამდგმელმა ვ. ჭაბუკიანმა კვლავ გამოიჩინა თავი, როგორც დიდმა და დაკვირვებულმა მხატვარმა, რომელსაც უნარი წესწევს საბალეტო ხელოვნებაში სულ ახალ-ახალი შესაძლებლობანი გამოავლინოს.

საერთოდ დ. თორაძის ბალეტი „მშვიდობისათვის“ არის არა მარტო ნიჭიერი, არამედ ღრმად ნოვატორული ნაწარმოები, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ. ეს არის საბჭოთა ბალეტის პრინციპულად მნიშვნელოვანი გამარჯვება. ბალეტში გამოსახულია მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეები, დიდი პატრიოტული გრძნობები, საბჭოთა ადამიანების სულიერი სილამაზე. ბალეტი „მშვიდობისათვის“ თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ იმ სპექტაკლთა რიცხვს, რომლებიც წარმოადგენენ თეატრის უძვირფასეს ფონდს. იგი მოლიანად გამსჭვალულია ჩვენი თანამედროვეობის მგზნებარე სუნთქვით.

ამ ნაწარმოებში მაღალი იდეურობა შერწყმულია ორიგინალურ, კეთილშობილურად სადა, დახვეწილ და მეტყველ ფორმებთან. სპექტაკლის დიდი პოლიტიკური და მხატვრული მნიშვნელობა უდავოა.

სპექტაკლის წარმატება იმის შედეგია, რომ მისი ძირითადი ელემენტები, რომლებიც ორგანულად შეაერთებენ ერთმანეთს, ოსტატურად არიან დაკავშირებულნი ძირითადი ამოცანისადმი—აღიბეჭდოს სცენაზე საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ჰეროიკა და სილამაზე. ეს ამოცანა ჭეშმარიტი ბრწყინვალებით არის გადაჭრილი.

ბალეტი იწყება ნატაშასა და სერგის ნათელი სიყვარულის თემით. მაყურებელი სცენაზე ხედავს საბჭოთა ადამიანების ბედნიერ ცხოვრებას. უეცრად სცენიურ მოქმედებაში შემოიჭრება ბოროტების მკაცრი, უხეში, უგუნური თემა. ეს არის მტრის ლეიტმოტივი, რომელიც გამოსახულია სიმებიანი ინსტრუმენტების დაბალი რეგისტრის ფონზე ბას-კლარნეტის ყღერადობით. ამ მომენტიდან მუსიკა იძენს მაღალ ტრაგედიულ ხასიათს, რომელიც სცენიურ სიტუაციას გამოხატავს არა გარეგნული ილუსტრაციით, არამედ საორკესტრო ხმოვანების კოლორიტით, ნამდვილი სიმფონიური ყღერადობით.

ბალეტის მუსიკალურ ენას საფუძვლად უდევს ხალხური მუსიკის ინტონაციური თავისებურებანი. მელოდიურ-ჰარმონიულ ხერხების სიახლე, რიტმის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, მუსიკალური დრამატურგიის დიდი გრძნობა, სახეთა განზოგადება, ყველა ელემენტის ორგანული მთლიანობის მიღწევა და, ბოლოს, გამოსახვის უშუალობა ამ ღირსშესანიშნავი პატრიოტული ნაწარმოების საუკეთესო თვისებებია. კომპოზიტორი დ. თორაძე ფართოდ იყენებს რუსულ, უკრაინულ, ქართულ და უზბეკურ მელოდიებს, ოსტატურად ამუშავებს მათ.

ბალეტის ფინალი უაღრესად მკაფიოდ არის გადაწყვეტილი. აქ ნაჩვენებია მსოფლიოს ყველა ქვეყნის დემოკრატიული ახალგაზრდობის ფესტივალი, სადაც ფიცი დადეს მტკიცედ იდგნენ მეგობრობისათვის, კაცობრიობის ბედნიერებისათვის და მშვიდობისათვის ბრძოლის პოზიციაზე.

მკაფიო შთაბეჭდილებას იხდენს რუსული ცეკვა „ბერიოზკა“, რომელიც კომპოზიტორმა შექმნა რუსული ხალხური ინტონაციების საფუძველზე. შესანიშნავად ეღერს ჩინური, უნგრული, გერმანელი ახალგაზრდობის საცეკვაოები.

სპექტაკლი გვახარებს ქორეოგრაფიული ბროვნების სიახლით, ხასიათების ფართოდ გახსნით, მრავალი სცენისა და ცეკვის ჭეშმარიტად ნოვატორული გადაწყვეტით.

დირიჟორი ვ. ფალიაშვილი სწორად გადმოსცემს ბალეტის შინაარსს, წარმატებით ხსნის კომპოზიტორის რთულ პარტიტურას.

თეატრმა სოჭელ მაყურებელს უჩვენა აგრეთვე პ. ჩაიკოვსკის უკვდავი ქმნილება „გედის ტბა“. ამ ბალეტს, რომელიც მართებულად არის აღიარებული ქორეოგრაფიული კლასიკის მწვერვალად, გატაცებით დგამენ სხვადასხვა ქვეყნის სცენებზე ბალეტის საუკეთესო ოსტატები.

მიისწრაფვის რა სპექტაკლში ზუსტი და მკაფიო სიუჟეტური სახის შექმნისაკენ, დამდგმელმა ვ. ჭაბუკიანმა ამავე დროს შექმნა ბალეტისათვის პროლოგი. უვერტიურის თანხლებით იგი სცენიური საშუალებებით ხსნის სიუჟეტის იმ აუცილებელ წინაისტორიას, რასაც წინათ მაყურებელი მხოლოდ ლიბრეტოდან იგებდა. ამ ცდამ სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

„გედის ტბის“ ახალი დადგმა არა მარტო ვ. ჭაბუკიანისა და მისი საბალეტო დასის, არამედ მთელი თეატრის შემოქმედებითი გამარჯვებაა.

ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები სოჭში ამაზე მეტყველებს, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო თეატრია, აქვს დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. მისი საოპერო და საბალეტო დასები ჭეშმარიტად ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივებია.

წარმატება, რომელიც ხვდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს (დირექტორი დ. მუნდლიძე), უზრუნველყო სარეპერტუარო ხაზის სისწორემ, დადგმათა მასშტაბურობამ და სიმდიდრემ, რაც დედაქალაქის თეატრებისათვის აუცილებელია. თეატრმა დიდი რაოდენობით გამოიყვანა ახალგაზრდა შემსრულებლები, რომლებიც წამყვან როლებს ასრულებდნენ როგორც საოპერო, ისე საბალეტო სპექტაკლებში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრს საუკუნოვანი ტრადიცია აქვს. მას იცნობენ, როგორც ერთ-ერთ უძველეს თეატრს მთელ საბჭოთა კავშირში, და მოთხოვნილებებიც, რასაც მაყურებელი თეატრს უყენებს, მაღალია. სავსებით მართალი იყო სახელგანთქმული დირიჟორი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჯორჯე ჯორჯესკუ, რომელმაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლების გამო ასეთი განცხადება გაკეთა:

„მოხარული ვარ, რომ გავეცანი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრს. მისმა დადგმებმა უდიდესი ესთეტიკური სიამოვნება მაგრძნობინა. გაგებული მქონდა, რომ ქართველ ხალხს უყვარს და აფასებს მუსიკას, ამაში თვალნათლივ დავრწმუნდი. განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება დატოვა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისმა“, რომელიც ჩემი აზრით შესანიშნავი საოპერო ქმნილებაა. იგი გზიბლავს ლირიკულობითა და მელოდიურობით. ამ მხრივ შედეევრს წარმოადგენს „დაისნს“ შესავალი.

სხვათა შორის, ქართული მუსიკა ზოგიერთი ნიუანსებით ჰგავს რუმინულს. მე, რა თქმა უნდა, სრული მსგავსება არა მაქვს მხედველობაში. ჩემთვის ამკამად ძნელია ზუსტად გამოვხატო, თუ რაში მდგომარეობს ეს მსგავსება, მაგრამ ფაქტია, რომ როდესაც ქართულ მუსიკას ვუსმენ, ვგრძნობ რაღაც მშობლიურს, მახლობელს. „დაისისათვის“ დამახასიათებელია ეროვნული, კოლორიტული